# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცრუილებით და ჭორებით ბერთის გაცდანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ხუთშაბათი, 16 თებერვალი. 2023 წ. №19 (9551) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი




## მერაბიშვილი – გახმაურებული გვამი,

საჩუქარი „ოცნებისთვის“





## ხაბეიშვილი – საარაკო ხეპრე

④



## ჰეიდარ ალიევი 100

## ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების მეგობრობა სამაგალითოა მთელი მსოფლიოსთვის!

⑥ ⑦

## იენს სტოლტენბერგი: აუცილებლად გავზრდით ბოსნია-ჰერცეგოვინას, საქართველოსა და მოლდოვის თავდაცვისუნარიანობას!



**ერთი წელი გადის რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრიდან. ეს არის ყველაზე დიდი კონფლიქტი მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ჩვენ ვერ ვხედავთ ნიშნებს, რომ რუსეთი ემზადებოდეს მშვიდობისთვის. ამის საპირისპიროდ, რუსეთი ახორციელებს ახალ შეტევებსა და თავდასხმებს. უკრაინისთვის სამხედრო დახმარებას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს. უკრაინას აქვს შესაძლებლობების ფანჯარა. ჩვენ განვიხილეთ იმ პარტნიორებთან თანამშრომლობა, რომლებიც რისკის ქვეშ არიან, ბოსნია-ჰერცეგოვინის, საქართველოსა და მოლდოვის ჩათვლით. ჩვენ შევთანხმდით საჭიროებებზე მორგებული დახმარების გაძლიერებაზე, რათა გავზარდოთ მათი თავდაცვისუნარიანობა, მდგრადობა და თავსებადობა ნატოს სტანდარტებთან,** – თქვა გუშინ სტოლტენბერგმა.

## ბრძოლა ვანდალიზმისა და ვანდალების წინააღმდეგ



⑦

## შეტევა საკუთარი მილენიუმის ბოლო ათწლეულზე!

### თამაზ შილაკაძე 91 წლისაა!

შპს „საქგზამეცნიერება“-ს კოლექტივი დიდი სიყვარულით და ღრმა პატივისცემით ულოცავს დაბადებიდან **91-ე** წლისთავს, **19 თებერვალს,** ინსტიტუტის გენერალურ დირექტორს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს ბატონ **თამაზ შილაკაძეს** და უსურვებს მას მეგზევეებისათვის დამახასიათებელ ურყევ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და შემდგომ შემოქმედებით მოღვაწეობას ჩვენი ქვეყნის, საგზაო დარგის და საკუთარი დიდი ოჯახის საკეთილდღეოდ, რომლის დასტურია ის ფაქტი, რომ შილაკაძეების მეგზევეთა დინასტიას ამჯერად შეემატა მეოთხე თაობის წარმომადგენელი – დიდი ბაბუა თამაზი (აკადემიკოსი), შვილი გიორგი (დოქტორი), შვილიშვილი თაზო (დოქტორანტი) და შვილთაშვილები, პატარები „გიო“, „ვატო“ და „მატეო“ მომავალი ინჟინრები.



თქვენი ბედნიერების იყოს, შილაკაძეებო!!!

შპს „საქგზამეცნიერება“-ს შრომითი კოლექტივი.



## წულაიამ დროშაც ვერ დაკიდა, სასჯელიც აიკიდა!

⑪




# ქრონიკული და ონკოლოგიური მედიკამენტები კიდევ იაფდება

**„საზოგადოებას როგორც დავპირდით, დღეიდან მედიკამენტებზე ამოქმედდა რეფერენტული ფასები. შედეგად, 800-ზე მეტი ქრონიკული და ონკოლოგიური მედიკამენტი კიდევ საშუალოდ 40%-ით გაიაფდება“,** – აღნიშნავს ირაკლი ღარიბაშვილი.

მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, რეფერენტული ფასები, თავდაპირველად, ქრონიკული დაავადებების სამკურნალო პრეპარატებზე დაწესდა, ეტაპობრივად კი, ფასების რეგულირების მექანიზმი სხვა ჯგუფის მედიკამენტებზეც გავრცელდება.

ამასთან, მათივე ცნობით, 2022 წლის მარტიდან, მთავრობის ინიციატივით, თურქეთის ფარმაცევტული ბაზარი გაიხსნა, რამაც 60-80 პროცენტით შეამცირა საქართველოში მედიკამენტების ღირებულება. შედეგად, წლიურად, ქვეყნის 100 000-მდე მოქალაქე, დაახლოებით, 200 მილიონ ლარამდე თანხას დაზოგავს, რეფერენტული ფასების დაწესება კი წამლების ხელმისაწვდომობას კიდევ უფრო გააუმჯობესებს.

# სამედიცინო სერვისების სრული სპექტრი

## ბავშვთა ონკოლოგიური სახელმწიფო ცენტრის მოსაწყობად სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს

**საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროში აცხადებენ, რომ ბავშვთა ონკოლოგიური სახელმწიფო ცენტრის მოსაწყობად სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. ისრაელის „იხილოვის სამედიცინო ცენტრის“ დელეგაციამ, პირველადი სამოქმედო გეგმა წარმოადგინა, რომელიც კლინიკის ინფრასტრუქტურული მოწყობისა და საჭირო ადამიანური რესურსის მიმართულებით კონსულტაციებს მოიცავს. საუბარია კლინიკის დაგეგმარებასა და დიზაინზე, ასევე პალატებისა და ოთახების მოწყობის სტანდარტებზე.**

როგორც ჯანდაცვის სამინისტროში აღნიშნავენ, „იხილოვის სამედიცინო ცენტრის“ წარმომადგენლების მიერ მომზადებული დოკუმენტის გათვალისწინებით, ბავშვთა ონკოლოგიური ცენტრი იქნება ახალი პედიატრიული კლინიკის ნაწილი, სადაც სამედიცინო სერვისების სრული სპექტრი ერთ სივრცეში განთავსდება. საუბარია, როგორც დიაგნოსტიკურ, ისე სამკურნალო მიმართულებებზე. პირველადი სამოქმედო გეგმის შემუშავებამდე, „იხილოვის სამედიცინო ცენტრის“ დელეგაცია ორდღიანი ვიზიტით საქართველოში იმყოფებოდა. სპეციალისტები ქვეყანაში არსებულ ინფრასტრუქტურულ, კლინიკურ და საგანმანათლებლო ბაზას გაეცნენ.

ბავშვთა ონკოლოგიური სახელმწიფო ცენტრის მშენებლობის ინიციატივის შესახებ ჯანდაცვის მინისტრმა, ზურაბ აზარაშვილმა 2022 წლის დეკემბერში განაცხადა. შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომლის წევრებმაც გამოცდილების გაზიარების მიზნით შეხვედრები ისრაელში, წამყვან სამედიცინო დაწესებულებებში გამართეს. დაგეგმილია ვიზიტები ევროპის ქვეყნებშიც, სადაც ჯანდაცვის სამინისტროს სამუშაო ჯგუფი, ბავშვთა ონკოლოგიის მიმართულებით არსებულ პრაქტიკას გაეცნობა.



**სააკაშვილი და პოროშენკო განიხილებოდნენ დაზვერვის მომავალ თანამშრომლებად. მათთან მუშაობდნენ უკრაინული სპეცსამსახურები, რომლებიც შედიოდა კგბ-ში.**

**ნიკოლაი მალომუჟი,**

უკრაინის საგარეო დაზვერვის სამსახურის ყოფილი თავმჯდომარე

## კახა კალაძე: რასაც სააკაშვილი აკეთებდა, ემსახურებოდა მხოლოდ და მხოლოდ რუსეთს და რუსეთის ინტერესებს



**„განცხადებები მოვისმინე, თუმცა რაც შეეხება სააკაშვილს და მის ქმედებებს, მე არანაირი მტკიცებულებები არ მაქვს, მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით მისი მოღვაწეობის ფაქტები მიუთითებს, რასაც ეს ადამიანი აკეთებდა, ემსახურებოდა მხოლოდ და მხოლოდ რუსეთს და რუსეთის ინტერესებს.**

**რაც 2008 წელს იკადრეს და გააკეთეს ჩვენი ტერიტორიების დაკარგვით ამ ადამიანებმა და თავიანთი გაუთვლელი არასწორი პოლიტიკით ემსახურებოდა რუსეთს და მის ინტერესებს“,** – განაცხადა კალაძემ.

## ირაკლი ქადაგიშვილი: შედეგობრივად თუ ვიმსჯელებთ, სააკაშვილის პოლიტიკა ყოველთვის მოსკოვის სასარგებლოა



**„მე ერთი რამით ვაფასებ ყველა პოლიტიკოსის საქმიანობას, შედეგი როგორი დგება. შედეგი თუ დგება ქვეყნისთვის სასარგებლო, ეს მთავარია. სამწუხაროდ, მიხეილ სააკაშვილის შემთხვევაში შედეგი ყოველთვის დგება საქართველოს საწინააღმდეგოდ, ანუ მისი აქტიურობით საბოლოო ჯამში შედეგად ვიღებთ იმას, რაც მოსკოვის ინტერესებშია.**

**აქედან გამომდინარე, მე მისი „კაგებეში“ შევსებული პირადი მეტრიკა არ მინახავს, მაგრამ შედეგობრივად თუ ვიმსჯელებთ, ყოველთვის მოსკოვის სასარგებლოა“,** – განაცხადა ქადაგიშვილმა.



**ჩვენ მკაფიო გზავნილი გვაქვს „ქართული ოცნებისთვის“, ვერ მიიღებთ სტატუსს, თუ არ ითამაშებთ ჩვენი წესებით.**

**ანდრიუს კუბილიუსი**

# ამხ. კუბილიუს!!! საქართველოს ხელისუფლება ქართული წესებით ითამაშებს...

**„ეს არის იმ თამაშისა და შანტაჟის ნაწილი, რასაც ჩვენ მთელი ამ დროის განმავლობაში ვხედავთ და მას ხედავს საზოგადოებაც. საქართველოს ხელისუფლება ითამაშებს ქართული წესებით, გამოვა ქვეყნის ინტერესებიდან და გამოვა ჩვენი ხალხის ეროვნული ინტერესებიდან. ჩვენმა ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა და აკეთებს ამ რთულ გზაზე. თუმცა, თუ მათი მხრიდან პოლიტიკური გადაწყვეტილება იქნება მიღებული კანდიდატის სტატუსის არმიცემასთან დაკავშირებით, არ მოგვცემენ სტატუსს და თავისთვის დაიტოვონ“,** – აღნიშნა თბილისის მერმა.

მისივე თქმით, ე.წ. მეგობრებისთვის საქართველოს ხელისუფლება მისაღები არ არის იმიტომ, რომ ომში არ ჩაერთო.

## საქართველო მხოლოდ იმ წესებით ითამაშებს, რომლებიც საქართველოსა და ცივილიზებული სამყაროსთვის არის მისაღები...

**ვწუხვარ, რომ კუბილიუსი თავს უფლებას აძლევს, ქვეყანას ასეთი უხეში ფორმით ესაუბროს,** – ამის შესახებ პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ქადაგიშვილმა განაცხადა.

**საქართველო მხოლოდ და მხოლოდ იმ წესებით ითამაშებს, რა წესებიც მისაღებია საქართველოსთვის, მისაღებია ცივილიზებული სამყაროსთვის და რა ტრადიციაც არსებობს, მათ შორის ევროკავშირში. საქართველო არ ითამაშებს იმ თამაშის წესებით, რომელიც დამყარებულია შანტაჟზე, ინფორმაციის უხეშად დამახინჯებაზე, ქვეყნის სწრაფვასა და მერკანტილური პოლიტიკური ინტერესების ასეთ უხეშ შეჯვარებაზე. აქედან გამომდინარე, ეს განცხადება მისი, როგორც პოლიტიკოსის, ძალიან მძიმე და ცუდი განცხადებაა.**

**საქართველო როგორც ისწრაფოდა ცივილიზებული თამაშის წესებისა და ცივილიზაციისკენ, ისე გააგრძელებს სვლას...** – განაცხადა ირაკლი ქადაგიშვილმა.

# ჟურნალისტებო, დახვეწილი ქართულით ვისაუბროთ!!!

**საქართველოს პირველ არხსა და სახელმწიფო ენის დეპარტამენტს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის მიზანია, მედიაში დამკვიდრებული შეცდომების, ბარბარიზმების ქართული შესატყვისებით ჩანაცვლება და ქართული ენის კიდევ უფრო მეტად პოპულარიზაცია.**

როგორც საქართველოს პირველი არხის გენერალურმა დირექტორმა, თინათინ ბერძენიშვილმა აღნიშნა, პირველი არხი იწყებს აქტიურ მუშაობას სამაუწყებლო ენის დახვეწაზე.

**„დღეს ოფიციალურად ხელი მოვაწერეთ მემორანდუმს, თუმცა მანამდე გვქონდა წინასამუშაო საქმიანობა. არაერთხელ გვისაუბრია, რამდენად მნიშვნელოვანია ქართული, განსაკუთრებით სამაუწყებლო ენა ჩვენი ჟურნალისტებისთვის, პროდიუსერებისთვის, მაყურებლისთვის. შევიმუშავეთ გარკვეული პრაქტიკა, როგორ შეიძლება, გავაუმჯობესოთ სამაუწყებლო ენა ჩვენს არხებზე, როგორც რადიოში, ასევე ტელევიზიით. ვიწყებთ აქტიურ მუშაობას და შედეგებს პერიოდულად გავაცნობთ საზოგადოებასაც“,** – განაცხადა ბერძენიშვილმა.

როგორც სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, გიორგი ალიბეგაშვილმა აღნიშნა, პირველ არხთან გაფორმებული მემორანდუმი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის არის.

**„ყველას კარგად მოეხსენება, რა გამოწვევების წინაშე დგას სახელმწიფო ენა. ბუნებრივია, ამ კუთხით ჩვენ მხარდაჭერა გვჭირდება. ეს არ არის მხოლოდ რომელიმე ერთი უწყების საქმე, მშობლიურ ენაზე მთელმა საზოგადოებამ უნდა იფიქროს და მით უფრო მისასალმებელია, რომ ტელევიზია არის ჩართული ამ კუთხით. სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა დაიწყო მუშაობა პორტალზე, რომელიც ითვალისწინებს ძალიან ბევრ ასპექტს, მოამზადებს პროცესს არაერთი მნიშვნელოვანი პროექტის დასაწყებად, როგორიც არის მაგალითად, ეტიმოლოგიური ლექსიკონი და ა.შ. კიდევ ერთხელ გამოვხატავ პატივისცემას და მადლიერებას იმის გამო, რომ საქართველოს პირველი არხი ჩაერთვება ბევრი ისეთი საკითხის გაშუქებაში, რომელიც ენობრივი თვალსაზრისით, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია“,** – განაცხადა ალიბეგაშვილმა.



## ვატო შაქარიშვილი:

# კომპანია „ბლექროკი" ერთი ხელით ანგრევს უკრაინას, მეორე ხელით „აშენებს"

**კომპანია „ბლექროკი" ერთი ხელით ანგრევს უკრაინას, მეორე ხელით „აშენებს", – ამის შესახებ მოძრაობა „აი იას" თანადამფუძნებელი ვატო შაქარიშვილი სტატიაში წერს.**

მისი თქმით, რაც შეეხება მსოფლიოში უმსხვილეს, ამერიკულ საინვესტიციო და აქტივების მმართველ კომპანია „ბლექროკს", ის ხშირად ფიგურირებს იქ, სადაც ომი და ხანგრძლივი კონფლიქტებია.

**„გასული წლის მიწურულს, უკრაინის პრეზიდენტმა უმსხვილეს ამერიკულ საინვესტიციო და აქტივების მმართველ კომპანია „ბლექროკთან" მემორანდუმი (ბმული 1) გააფორმა.**

**დოკუმენტი ითვალისწინებს შეთანხმებას, რომ უკრაინის აღდგენა-რეაბილიტაციის პროცესს სწორედ აღნიშნული კომპანია უხელმძღვანელებს. არაფერი იქნებოდა გასაკვირი, ერთი მნიშვნელოვანი გარემოების გარეშე – „ბლექროკი" არის იარაღის მწარმოებელი და დისტრიბუტორი კომპანიების მსოფლიოში ყველაზე დიდი ინვესტორი და აქტივების მფლობელი.**

**ომიდან 1 წლის თავზე, თუ რაიმე ცხადზე უცხადესია, ეს არის – ომით მოგებულთა და ომით დაზარალებულთა ვინაობა.**

**ომით უდიდეს მოგებას ნახულობენ იარაღის მწარმოებელი და მოვაჭრე საერთაშორისო კორპორაციები, პარალელურად კი, ომს ეწირება ასეულობით ათასი ადამიანის სიცოცხლე.**

**ომმა უკრაინას მოუტანა შეუფასებელი დანაკარგები – დაღუპული ჯარისკაცები და მშვიდობიანი მოსახლეობა, ქვეყნიდან გადინებული მილიონობით მოქალაქე, დაკარგული ტერიტორიები, უმძიმესი ეკონომიკური კრიზისი, განადგურებული ინფრასტრუქტურა და ა.შ. ომის ფონზე, სარგებლის მომლოდინე უმსხვილესი კორპორაციები ღიად მხარდაჭერილია ბაიდენის ადმინისტრაციის მხრიდან. გასული 1 წლის განმავლობაში არაერთი შეხვედრა (ბმული 2) გაიმართა „პენტაგონში," კომპანიების წარმომადგენლებსა და თავდაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელ პირებს შორის. თავად პრეზიდენტი ბაიდენი, საკმაოდ გულწრფელი იყო მის განცხადებაში (ბმული 3), რომელიც „ჯაველინის" მწარმოებელი კომპანიის თანამშრომლებთან შეხვედრაზე გააკეთა: „თქვენ ხდით შესაძლებელს დავეხმაროთ უკრაინას დაიცვას საკუთარი თავი ისე, რომ ჩვენ არ დავდგეთ მესამე მსოფლიო ომის რისკის წინაშე, რუსეთის ჯართან საბრძოლველად ამერიკელი ჯარისკაცების გაგზავნით". რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებამდე, 2021 წელს, იარაღის მწარმოებელმა კომპანიებმა აშშ-ის ბიუჯეტიდან $768 მილიარდი მიიღეს.**

**აშშ-ის და მოკავშირეების მხრიდან უკრაინის ხანგრძლივად და უწყვეტად იარაღით მომარაგებამ მნიშვნელოვნად გაზარდა მოთხოვნა. კონგრესის მიერ, უკრაინის დახმარებისთვის გამოყოფილი მილიარდებიდან უდიდესი ნაწილი სწორედ იარაღის მწარმოებელ კომპანიებში მიედინება. თავის მხრივ აღნიშნული კორპორაციებიც მილიონობით დოლარს ხარჯავენ ლობიზმში, რათა კონგრესმა უფრო მეტი და მეტი ფული გამოყოს უკრაინაში იარაღის გასაგზავნად. ამ ყველაფერს ემთხვევა შვედეთისა და ფინეთის მიერ NATO-ში გაწევრიანების სურვილი და გერმანიის განცხადება თავდაცვისთვის 100 მილიარდ დოლარზე მეტის გამოყოფის შესახებ, აღნიშნული სიახლეებიც საგრძნობლად აისახება იარაღზე მზარდ მოთხოვნაზე. რაც შეეხება მსოფლიოში უმსხვილეს, ამერიკულ საინვესტიციო და აქტივების მმართველ კომპანია „ბლექროკს", ის ხშირად ფიგურირებს იქ, სადაც ომი და ხანგრძლივი კონფლიქტებია. „ბლექროკი" მის მფლობელობაში არსებული კომპანია „Lokheed Martin"-ის მეშვეობით იარაღს ყიდის საუდის არაბეთზე, რომელიც დაუსრულებელ ომს აწარმოებს იემენთან.**

**„ბლექროკს" რეპუტაციული პრობლემები აქვს ამერიკაშიც, სამოქალაქო ორგანიზაციები კომპანიას ადანაშაულებენ გარემოსთვის ზიანის მიყენებაში, სამხედრო და სამოქალაქო იარაღის წარმოებით კონფლიქტების და სისხლისღვრის წაქეზებაში, ასევე სირიის, იემენის, ერაყისა და ავღანეთის ომებიდან სარგებლის მიღებაში. უკრაინაში კი, ამერიკული კომპანია „ბლექროკი" მოგებას იღებს როგორც იარაღის წარმოების და მიწოდების გაზრდილი მოცულობიდან, ასევე უკრაინის ხელისუფლებასთან გაფორმებული მემორანდუმის შედეგად, მოგებას ნახავს უკრაინის ომის შემდგომი, აღდგენა-რეაბილიტაციის პროცესში, რაც სხვადასხვა დათვლებით $500 მილიარდზე მეტი დაჯდება...**




# „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ"



როგორც ბრიფინგზე „ხალხის ძალის" წევრმა, **გურამ მაჭარაშვილმა** განაცხადა, უცხოური გავლენის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, შეიქმნება უცხოური გავლენის აგენტების რეესტრი.

**„ერთი თვის წინ ჩვენ დავაანონსეთ, რომ საგაზაფხულო სესიის დასაწყისისთვის დავაინიცირებდით კანონპროექტს, რომელიც უცხოური დაფინანსებით მოქმედი ორგანიზაციების საქმიანობას შეეხებოდა. აღნიშნულ კანონპროექტზე მუშაობა დასრულდა და საზოგადოებრივი მოძრაობა „ხალხის ძალა" საქართველოს პარლამენტში ვაინიცირებთ კანონპროექტს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ".**

**აღნიშნული კანონპროექტი, ძირითადად, შედგენილია აშშ-ში მოქმედი შესაბამისი კანონმდებლობის მიხედვით. ამ ნორმატიული აქტის პროექტში ასევე გათვალისწინებულია სხვა დემოკრატიული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა. მიგვაჩნია, რომ საჯაროობის, გამჭვირვალობის პრინციპებიდან გამომდინარე, საზოგადოებისთვის ცნობილი უნდა იყოს არა მხოლოდ იმ პოლიტიკოსების შემოსავლის წყაროები, რომლებიც გადაწყვეტილებებს იღებენ სახელმწიფოში, არამედ გამჭვირვალე უნდა იყოს ისეთი სუბიექტების (ენჯეოებისა და მედიის) შემოსავლის წყაროებიც, რომელთა მიზანია, ზეგავლენა მოახდინონ საჯარო გადაწყვეტილებებზე და რომლებიც მონაწილეობენ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში ან აქტიურ მონაწილეობას იღებენ საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ კანონების თუ გადაწყვეტილებების მიღების დროს გამართულ დისკუსიებში. სწორედ ამიტომ, „ხალხის ძალის" მიერ შემოთავაზებული კანონით, უცხოური გავლენის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, შეიქმნება უცხოური გავლენის აგენტების რეესტრი, სადაც დარეგისტრირდება ყველა ის არასამეწარმეო იურიდიული პირი და მედიასაშუალება, რომელთა შემოსავლების 20 პროცენტზე მეტი ფინანსდება უცხოური ძალების მიერ.**

**ზემოაღნიშნული სუბიექტების უცხოური გავლენის აგენტად რეგისტრაციის საკითხს უზრუნველყოფს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. იმ სუბიექტებისთვის კი, რომლებიც თავს აარიდებენ რეგისტრაციას, გათვალისწინებულია შესაბამისი ადმინისტრაციული ჯარიმები. ამასთანავე, ჯარიმის გადახდა სუბიექტს არ ათავისუფლებს უცხოური გავლენის აგენტად რეგისტრაციის ვალდებულებისაგან. აღნიშნული კანონის მიღება მნიშვნელოვნად გაზრდის საზოგადოების ინფორმირების ხარისხს, რაც დაეხმარება ხალხს სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში",** – განაცხადა გურამ მაჭარაშვილმა.

ამასთან, გურამ მაჭარაშვილის ინფორმაციით, უახლოეს დღეებში დააინიცირებენ კანონპროექტს, რომელიც მედიასივრცეში სიცრუისა და უხამსობის წინააღმდეგ პრევენციული ზომების მიღებას უზრუნველყოფს.

**„შეგახსენებთ, ჩვენ, პრაქტიკულად, დავასრულეთ მუშაობა კანონპროექტზე, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს მედიასივრცეში სიცრუისა და უხამსობის წინააღმდეგ პრევენციული ზომების მიღებას. აღნიშნულ კანონპროექტსაც უახლოეს დღეებში დავაინიცირებთ",** – დასძინა გურამ მაჭარაშვილმა.

# რობინ დანიგენი საქართველოში აშშ-ის ელჩობის კანდიდატია



**შეერთებული შტატების პრეზიდენტმა საქართველოში აშშ-ის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის კანდიდატი წარადგინა. რობინ დანიგენი, ამჟამად სახელმწიფო დეპარტამენტის ევროპისა და ევრაზიის საკითხების ბიუროში, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის საკითხებში, სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილის თანამდებობას იკავებს.**

ნომინაციის შესახებ თეთრმა სახლმა განცხადება 13 თებერვალს გაავრცელა.

მანამდე დანიგენი ავსტრიაში აშშ-ის საელჩოში იყო საქმეთა დროებითი რწმუნებული და მისიის უფროსის მოადგილე.

სხვადასხვა დროს, ის იკავებდა ენერგორესურსების ბიუროს მდივნის თანაშემწის მოადგილის პოზიციას; მუშაობდა აშშ-ის საელჩოებში ვიეტნამში, ჩილეში, თურქეთში, კუბასა და ელ სალვადორში.

დანიგენმა სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხი „ეროვნული ომის კოლეჯში" მიიღო. მას ასევე აქვს მეცნიერების მაგისტრის ხარისხი ჯორჯთაუნის უნივერსიტეტიდან და ბაკალავრის ხარისხი ბერკლის კალიფორნიის უნივერსიტეტიდან. ინგლისურის გარდა, საუბრობს ესპანურ და გერმანულ ენებზე.

ამერიკის კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტის მიერ საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატურა შეერთებული შტატების სენატმა უნდა დაამტკიცოს.

ვიდრე სენატი გადაწყვეტილებას მიიღებს, საკანონმდებლო ორგანოში მოსმენები გაიმართება და ელჩობის ნომინანტი კანონმდებლების კითხვებს უპასუხებს და წარმოადგენს საკუთარ ხედვას, ამერიკის პოლიტიკასთან დაკავშირებით.

ნომინირებული კანდიდატი შეიძლება იყოს კარიერული დიპლომატი, ან პოლიტიკური მოსაზრებებით დანიშნული ფიგურა. საქართველოში, ტრადიციულად, კარიერული დიპლომატები ინიშნებიან. რობინ დანიგენი კარიერული დიპლომატია და სენატის მიერ დამტკიცების შემთხვევაში, ის ამერიკის ელჩის თანამდებობაზე კელი დეგნანს შეცვლის. კელი დეგნანი, საქართველოში აშშ-ის ელჩის თანამდებობას 2020 წლის 29 იანვრიდან იკავებს.

# მათთვის მისაღებია... რასაც ჩვენ გვიკრძალავენ!!!

**„ევროპის სახალხო პარტია" ევროკავშირში არასამთავრობო სექტორში უცხოელ აგენტთა რეესტრის შექმნას ითხოვს!!**

**ევროპარლამენტის მაღალი თანამდებობის პირები ითხოვენ, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მესამე ქვეყნების სასარგებლოდ მოქმედი აქტორების გავლენის გასაკონტროლებლად ისეთივე კანონები ამოქმედდეს, როგორიც აშშ-ში მოქმედებს.**

**13 თებერვალს ევროპარლამენტში გამართულ დებატებზე „ევროპის სახალხო პარტიის" წარმომადგენელმა, მონიკა ჰოლმაიერმა, რომელიც საბიუჯეტო კონტროლის კომიტეტს ხელმძღვანელობს, გამოვიდა მოწოდებით, შეიქმნას „ამერიკული FARA-ს (Foreign Agents Registration Act, უცხოელ აგენტთა რეგისტრაციის აქტი) ეკვივალენტი, რათა გაძლიერდეს კონტროლისა და გამჭვირვალობის მექანიზმები.**

**აშშ-ში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მესამე ქვეყნის ყველა პოლიტიკოსი და მათი ლობისტები ვალდებულები არიან, საჯაროდ ხელმისაწვდომ ვებგვერდზე დაარეგისტრირონ და აღწერონ საკუთარი საქმიანი ურთიერთობა ამერიკელ კანონმდებლებთან, მათ შორის ნებისმიერი ფორმალური კონტაქტები და გადარიცხული თანხები.**

**„ევროპის სახალხო პარტია" ითხოვს არასამთავრობო ორგანიზაციების სრულ ფინანსურ შემოწმებას, რის შემდეგაც ისინი მოხვდებიან ევროკავშირის გამჭვირვალობის ჩამონათვალში. გარდა ამისა, „ევროპის სახალხო პარტიაში" აცხადებენ, რომ ევროკომისიასა და არასამთავრობოებს შორის დადებული კონტრაქტები საჯაროდ უნდა იყოს ხელმისაწვდომი.**

**ასეთი კანონის ამოქმედება იქნება მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი ევროპულ ინსტიტუტებში მეტი გამჭვირვალობისკენ.**

**მონიკა ჰოლმაიერის თქმით, ევროპარლამენტის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის, ევა კაილის გარშემო აგორებული სკანდალი აჩვენებს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები ძალიან მარტივად შეიძლება იყოს გამოყენებული კრიმინალურ საქმიანობაში.**

**EURACTIV**



# მერაბიშვილი – გახმაურებული გვამი, ხაბეიშვილი – საარაკო ხეპრე

**ლევან ხაბეიშვილი პარტიის თავმჯდომარის პოსტზე რომ მხოლოდ ბუტაფორიაა, ეს ვანო მერაშვილის პოლიტიკურ ველზე შემოსვლამ კიდევ ერთხელ დაადასტურა. ყოფილმა ძალოვანმა, რომლის სახელს არაერთი მძიმე დანაშაული უკავშირდება, პოლიტიკური განცხადება მარკ ფეიგინის გადაცემა „ფეიგინ ლაივში“ გააკეთა. მერაბიშვილი ამბობს, რომ რაიონებსა და ქალაქებში მიტინგები ტარდება, ახლა ზამთარია, ქართველები არ არიან სიცივეს შეჩვეული ისე, როგორც ამას უკრაინელები, მაიდანი რომ მოაწყონ, მაგრამ ამბობს, რომ ყველაფერი კარგად მიდის.**

**ახლა ყველაზე მთავარია, რომ მოხდეს პროტესტების ორგანიზება. დარწმუნებული ვარ, რომ პეტრე ცისკარიშვილი, ხაბეიშვილი, პარტიის ახალი ხელმძღვანელობა, სხვა ახალგაზრდა ადამიანები ძალიან სერიოზულად არიან ამით დაკავებული. ისინი აცნობიერებენ საკუთარ პასუხისმგებლობას საქართველოს მომავლის მიმართ“,** – აღნიშნა ვანო მერაბიშვილმა.

ყოფილი შს მინისტრის და „ნაციონალური მოძრაობის“ არაფორმალური თავმჯდომარის საჯარო სივრცეში გამოჩენა და მით უფრო პარტიის სახელით პოლიტიკური განცხადებების გაკეთება მოულოდნელი და ამავე დროს მიუღებელია პარტიის ნაწილისთვის. „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი **ბაჩო დოლიძე** აცხადებს, რომ მერაბიშვილი პარტიისთვის პრობლემა იყო და ასეა დღესაც. მისი თქმით, კულისებს უკან მართული პროცესები ყველაფერს აზიანებს.

**„კიდევ ერთხელ დავინახე ისევ „აქეთ“ მხარეს გადასროლილი ქვა რამდენიმე კაცის მიმართულებით, რომელიც ღიად საუბრობდა იმაზე, რომ ვანო მერაბიშვილი ამ პარტიისთვის პრობლემაა. მე დღესაც ასე მიმაჩნია. ყველა ადამიანი უნდა გამოვიდეს წინა ხაზზე თუ პროცესებში ჩართულია და არათუ ჩართული, როცა პროცესებს მართავს. კულისებიდან ეს პროცესები არ უნდა მართოს. პირველ რიგში, ეს ჩვენი პარტიის შეურაცხყოფაა, რომელიც ყველანაირად პოზიციონირებს, რომ დასავლური ტიპის პარტია იყო, შესაბამისად, კულისებს უკან მართული პროცესები რა თქმა უნდა, ყველაფერს აზიანებს.**

ასე არ ფიქრობს „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური საბჭოს წევრი, **დიმიტრი შაშკინი,** რომლის თქმით, მერაბიშვილი პარტიის საქმიანობაში რიგითი სტატუსით არის ჩართული.

**„ვანო მერაბიშვილმა არაერთხელ განაცხადა, რომ მას არ აინტერესებს არანაირი თანამდებობები საქართველოში და ის როგორც რიგითი წევრი, მხარს უჭერს „ნაციონალურ მოძრაობას“. ჩვენ ყველა ვართ ერთად, ვანო მერაბიშვილი არის ენმ-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი, თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ახლა არის ჩართული, როგორც ყველა ჩვენთაგანი, რიგითი სტატუსით ენმ-ის საქმიანობაში“,** – განაცხადა **დიმიტრი შაშკინმა.**

* * *

მერაბიშვილი რომ თავისი აქტიურობით ოპოზიციას კიდევ უფრო აზიანებს, ეს ცხადია. პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, მერაბიშვილმა კანონის წინაშე სასჯელი კი მოიხადა, თუმცა დანაშაულს აქვს ასევე მორალური განზომილება და ჩადენილი დანაშაულები მას არ აძლევს მორალურ უფლებას, იყოს აქტიურ პოლიტიკაში. როგორც **შალვა პაპუაშვილი** ამბობს, „ნაციონალურ მოძრაობაში“ ოლიგარქიულ მმართველობას უკვე თავადაც ადასტურებენ.

**„ის, რაზეც დიდი ხანი ვსაუბრობდით, „ნაციონალურ მოძრაობაში“ ოლიგარქიულ არაფორმალურ მმართველობაზე, თავადაც ადასტურებენ ამას. ვხედავთ თუ ვინ მართავს პროცესებს „ნაციონალურ მოძრაობაში“. ვანო მერაბიშვილის აქტიურ პოლიტიკაში გამოჩენისას, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია დავაკვირდეთ ამ პროცესს, ვინ მიიღებს მას პოლიტიკაში, მათ შორის „ნაციონალური მოძრაობის“ უცხოელი მხარდაჭერებისგან როგორი რეაქცია ექნება ამას. ახლა მნიშვნელოვანია დავაკვირდეთ რამდენად გაემიჯნებიან მათ „ნაციონალური მოძრაობის“ აქტიური მხარდამჭერები ქვეყნის შიგნით თუ ქვეყნის გარეთ, შევხედოთ, რა მორალურ პრინციპებზე დგანან ის მხარდამჭერები, რომლებსაც ჩვენ ხშირად ვხედავთ „ნაციონალური მოძრაობის“ გვერდით“,** – აცხადებს **შალვა პაპუაშვილი.**

დედაქალაქის მერის განცხადებით, ხაბეიშვილის თავმჯდომარეობით „ნაციონალურ მოძრაობას“ მეტეორი მოხვდა. **კახი კალაძე** ამბობს, რომ მერაბიშვილის გამოჩენა მმართველი პარტიისთვის ძალიან დიდი საჩუქარია.

**„მერაბიშვილის გამოჩენას მხოლოდ მივესალმები, ეს მმართველი პარტიისთვის ძალიან დიდი საჩუქარია. ისეთი ადამიანები, როგორიც მერაბიშვილი და ხაბეიშვილია, რა თქმა უნდა, მხოლოდ კარგია ჩვენთვის. თუ მმართველი პარტია ინატრებდა ოპოზიციაში ასეთი ადამიანების ყოფნას, ეს შესრულებულია და ასრულებული. ხაბეიშვილის თავმჯდომარეობა მმართველი პარტიისთვის საჩუქარია. ხაბეიშვილის თავმჯდომარეობით მეტეორი მოხვდა „ნაციონალურ მოძრაობას“,** – აღნიშნა **კახა კალაძემ.**

**დიმიტრი ხუნდაძის** შეფასებით, ვანო მერაბიშვილის პოლიტიკური მკვდრეთიდან აღდგომით ძლიერდება ის ჯგუფი, რომელიც ამ პარტიას დასასრულთან ყველაზე მეტად დააახლოებს.

**„მერაბიშვილი არათუ გააძლიერებს პარტიას, არამედ დააჩქარებს მის დასასრულს, ეს პროცესი დაწყებულია. ამის ერთი ხელის შემწყობია, მაოხრებელი გზირი ხაზე. ვფიქრობ, რომ ძლიერდება ის ჯგუფი, რომელიც ყველაზე მეტად დააახლოებს ამ პარტიას დასასრულთან. მათი მახასიათებელი დესტრუქცია ისევე შეუბრუნდება პარტიას, როგორც მანამდე შეუბრუნდა ვადამდელი არჩევნები“,** – განაცხადა მოძრაობა „ხალხის ძალის“ წარმომადგენელმა, **დიმიტრი ხუნდაძემ.**

პარტია „საქართველოსთვის“ წევრის, **ბექა ლილუაშვილის** განცხადებით, ვანო მერაბიშვილი ამ ქვეყნის გუშინწინდელი დღე და კიდევ ერთი არაფორმალური მმართველია, რომელსაც შეუძლია არაფორმალური მმართველების წრეს მიეთვალოს. ლილუაშვილის თქმით, „მერაბიშვილის ინტერვიუ სხვა არაფერი იყო, თუ არა მისი როლის დადასტურება „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკაში, მათ შორის დღევანდელი მენეჯმენტის ფორმირებაში და მმართველობაში.

ანალიტიკოს **გია აბაშიძის** განცხადებით, ადამიანური რესურსების მხრივ „ნაციონალურ მოძრაობას“ სერიოზული პრობლემები აქვს, პარტიაში ახალი სახეები ვერ მოდიან და იძულებული არიან, რომ ვანო მერაბიშვილი გამოიყვანონ ავანსცენაზე. მისი თქმით, ეს მეტყველებს, რომ ამ პარტიაში არის კრიზისი და ეს კრიზისი გაგრძელდება მანამ, სანამ ე.წ. მოქმედი პოლიტიკოსები არიან საჯარო სივრცეში.

**„ამაზე სერიოზული პოლიტიკური ანალიზის გაკეთება შეუძლებელია, იმიტომ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ არის პოლიტიკურად მკვდარი პარტია და რისი იმედი აქვს თუნდაც კეზერაშვილს, ან თუნდაც სააკაშვილს? შეუძლებელია ამის სერიოზული ახსნა. ვუსურვებ ქართულ ოპოზიციურ კონსტრუქციულ სპექტრს, რომ უფრო გაძლიერდეს და რაც უფრო დაკნინდება „ნაციონალური მოძრაობა“ მით უკეთესია პოლიტიკური ოპოზიციური სპექტისთვის.**

**ამ პარტიის პრობლემა ის არის, რომ დღემდე ჰყავთ ვანო მერაბიშვილი და ვითომ ე.წ. ახალი სახე გამოაჩინეს, მაგრამ ვანო მერაბიშვილი ძალიან ბევრ გამწარებულ ადამიანს და ოჯახს ახსოვს. მერაბიშვილის პოლიტიკურ ბრენდად ტირაჟირება მეტყველებს იმაზე, რა სავალალო დღეშია „ნაციონალური მოძრაობა“. ვუსურვებ მეტ დაკნინებას ამ პარტიას და ვუსურვებ უდიდეს წარმატებას კონსტრუქციულ ქართულ ოპოზიციას“,** – აცხადებს **გია აბაშიძე.**

ანალიტიკოსი **დავით ზარდიაშვილი** თვლის, რომ ეს არის იმ დიდი კოლაფსის გამოხატულება, რომელშიც „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური სუბიექტები არიან, წინააღმდეგ შემთხვევაში მერაბიშვილი არ ჩაერთვებოდა არანაირად, რომელიც მისი თქმით, იმდენად დისკრედიტირებულია პოლიტიკურად, რომ ახლა ცხელი კარტოფილის როლშია.




**„მაგრამ ეს არის პრობლემა ქვეყნისთვის და დემონსტრირება ხდება იმისი, რომ მთლიანად ქვეყნის პარტიული პოლიტიკური სისტემა, პარტიების ურთიერთობა და, საერთოდ, პოლიტიკური პროცესი არის ძალიან მძიმე კრიზისში. მოგვწონს თუ არა „ნაციონალური მოძრაობა“ ის არის მოქმედი პოლიტიკური ორგანიზაცია და მთავარი ოპოზიციური პარტია. რასაკვირველია, ეს დიდწილად განსაზღვრავს მთლიანი პარტიის, პოლიტიკური სისტემის კონფიგურაციას და სტრუქტურას, რაც ამ სისტემას აქვს.**

**კოლაფსის მდგომარეობაა თვითონ „ნაციონალური მოძრაობის“ შიგნით, როცა მერაბიშვილს სრულიად გაკოტრებულ ფიგურას გამოიყვან საჯაროდ. მას მიეწერება ამ პოლიტიკური ორგანიზაციის კრახი 2012 წელს, მისგან გაჟონა ინფორმაციამ, თუ რა ხდებოდა ციხეებში. მოუწყვეს, თუ როგორ მოხდა, ამას მნიშვნელობა არ აქვს. დიდწილად მას აბრალებდნენ ამ წარუმატებლობას, ისე როგორც 2 გვამი და ა.შ.“,** – აცხადებს ანალიტიკოსი.

როგორც **დავით ზარდიაშვილი** აცხადებს, ოდიოზურობა, რომელიც მერაბიშვილისთვის არის დამახასიათებელი, მიუღებელია იმ ნაციონალებისთვის, რომლებიც ჯანსაღი პოზიციიდან საუბრობენ და რომელსაც ახმოვანებს ბაჩო დოლიძე, რომელსაც კეთილგონივრულობის გარკვეული სტანდარტი აქვს და ისეთი არ არის, როგორიც არის მაგალითად ხაზე, ან ხაზეისტები.

**„ეს აბსოლუტურად გაუგებარი ხალხია, რომელთაც არავითარი პერსპექტივა არ გააჩნიათ, მათ პოლიტიკაში არაფერი არ ესაქმებათ. ხაბეიშვილი არის საარაკო ხეპრე, ეს იმდენად თვალსაჩინოა, რომ ამის არდანახვა შეუძლებელია. პლუს, ახლა მერაბიშვილის სახით მოიყვანეს საარაკო, არანაკლებ ოდიოზური და გახმაურებული გვამი.**

**ამით აჩვენებენ, რომ ეს პოლიტიკური ორგანიზაცია, როგორც ასეთი, განიცდის კრახს და კოლაფსის მდგომარეობაშია, იღუპება. მაგრამ მთავარი ის არაა, რომ იღუპება, არამედ ის, რომ ვინც მათ მისცა ხმა და ენდო, ისინი პოლიტიკაში ყოველგავრი გამოხატულების გარეშე რჩებიან“,** – აღნიშნა **დავით ზარდიაშვილმა.**

**თამთა ქარჩავა**

## ◎ წერილი რედაქციას

# „ოცნების“ ნეიტრალიტეტი რატომ გვიკვირს?!..

**რატომ გვიკვირს, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება, რუსეთ-უკრაინის ომში არ ემხრობა არც ერთ მხარეს, ნეიტრალურია, – არ ერევა ომში და არ უერთდება რუსეთის მიმართ მრავალი ქვეყნის მიერ დაწესებულ სანქციებს.**

**„ქართულმა ოცნებამ“ იცის, რომ ამ ომში წყდება პარტია „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნა-არყოფნის ბედი და მიაჩნია, რომ სწორედ ნეიტრალობა არის ის უებარი წამალი-ელექსირი, რომელიც მოუტანს მას მომავალ არჩევნებში გამარჯვებას და ამით ხელს შეუწყობს ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობისკენ სვლას, პუტინის მიერ აღიარებულ და დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნობილი აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დეოკუპაციას.**

**ისევე როგორც ხელისუფლებაში ნამყოფი პარტია ცდილობდა მმართველობის გახანგრძლივებას, ისევე როგორც ნებისმიერი პარტია ეცდება ხელისუფლებაში მოსვლას, ბუნებრივი, პარტია „ქართული ოცნება“ ამბიურებს, ამჟღავნებს, რომ სურს შემდგომ ვადაშიც შეინარჩუნოს ძალაუფლება და მიაჩნია, რომ ნეიტრალობა ის მეთოდია, ის სვლაა, რომელიც მას მოუტანს არჩევნებში წარმატებას, – მიიმხრობს ნეიტრალურ ამომრჩეველს, ფართო მოსახლეობას.**

**ნათქვამია: მადა ჭამაში მოდისო!**

**ცხოვრება იცვლება, წინ მიდის –- ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობისკენ სვლისთვის აუცილებელი წინაპირობაა ხელისუფლების გადახალისება, მაგრამ არა ისე, როგორც ეს ზოგი პარტიის ზოგ ჭკუის კოლოფ წევრს წარმოუდგენია, ზოგიერთ რეგვენს წარმოუდგენია!..**

**ხალხური ანდაზაა: ახალი ცოცხი კარგად გვისო!..**



**ოთარ შონია,**
არქიტექტორი

P. S. „ოფოფს თავით იცნობენ, კარგ საქმეს – გოლოთიო“!

# ნადით ჯარში და... გაჯანსაღდით!

## გიწვევთ თავდაცვის ძალების საკონტრაქტო სამსახურში

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო საკონტრაქტო სამხედრო სამსახურში იწვევს 18-დან 35 წლის ჩათვლით საქართველოს მოქალაქეებს.

საკონტრაქტო სამსახურის გავლის მსურველმა მოქალაქემ უნდა გაიაროს რეგისტრაცია, სამედიცინო შემოწმება და საწყისი საბრძოლო მომზადების (BCT) ორთვიანი კურსი. BCT კურსის განმავლობაში ანაზღაურება თვეში 500 ლარს შეადგენს. საწყისი საბრძოლო მომზადების კურსზე ჩარიცხვის დღიდან მოქალაქეები უზრუნველყოფილი არიან კვებით, სამხედრო ფორმით (საველე აღჭურვილობით), განთავსებით, მაღალი დონის სამედიცინო მომსახურებით, სოციალური და სამართლებრივი გარანტიებით. სამსახურში გადანაწილების დროს მაქსიმალურად არის გათვალისწინებული ტერიტორიული პრინციპი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ოთხწლიან საკონტრაქტო სამსახურში ასევე იწვევს საქართველოს მოქალაქეებს, 18-დან 45 წლის ჩათვლით, სხვადასხვა სპეციალობაზე დასანიშნად – მძღოლებს (მათ შორის, სპეც. ტექნიკის), ლოჯისტიკის სპეციალისტებს, კავშირგაბმულობის სპეციალისტებს, სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებს, საინჟინრო და ქიმიის მიმართულების სპეციალისტებს, ავიაციის და საჰაერო თავდაცვის სფეროს წარმომადგენლებს. აღნიშნულ სპეციალობებზე დასანიშნი პირები გაივლიან საწყისი საბრძოლო მომზადების მოკლე კურსს და სამხედრო კარიერას ქვედანაყოფებში სპეციალობების მიხედვით გააგრძელებენ. რიგითის საწყისი ხელფასი შეადგენს 1 530 ლარს. ანაზღაურება იზრდება წოდების, თანამდებობისა და სამხედრო სტაჟის გათვალისწინებით. ერთჯერადი დანამატი პირველი კონტრაქტის დასრულების შემდეგ არის 5 000 ლარი (ხელზე ასაღები), ხოლო მომდევნო კონტრაქტების დასრულების შემდეგ (ხელზე ასაღები): ორწლიანი კონტრაქტისას – 3 000 ლარი, ოთხწლიანი კონტრაქტისას – 8 000 ლარი. საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურე შეღავათებითა და პრივილეგიებით ისარგებლებს როგორც სახელმწიფო, ასევე ბიზნესსექტორში.

თავდაცვის სამინისტრო სამხედრო მოსამსახურეებსა და მათი ოჯახის წევრებს (მეუღლე, შვილი) სთავაზობს სწავლის თანადაფინანსებას საქართველოს ავტორიზებულ უმაღლეს სასწავლებლებში; ასევე, აკრედიტებულ საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლისას, მაღალი აკადემიური მოსწრებისთვის მინისტრის სტიპენდიას სემესტრულად 750 ლარის ოდენობით (გადასახადებისა და საპენსიო შენატანის გარეშე). აღსანიშნავია, რომ სამხედრო მოსამსახურეს, როგორც სერჟანტთა, ასევე ოფიცერთა შემადგენლობაში პროფესიული და კარიერული განვითარების შესაძლებლობა ექნება. ასევე, უწყება მათ სთავაზობს უცხო ენების (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, თურქული და რუსული) შესწავლას და საკარიერო კურსებში მონაწილეობას საზღვარგარეთ (ევროპაში, კანადასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში).

საკონტრაქტო სამსახურის დაწყების შემდეგ სამხედრო მოსამსახურეებს შესაძლებლობა ექნებათ, დაეუფლონ დამატებით პროფესიას – ელექტრიკოსი, ელექტრორკალური შემდუღებელი, მძიმე სამშენებლო ტექნიკის ოპერატორი, სავალი ნაწილის ტექნიკოსი, ძრავის სპეციალისტი, ავტომობილის შემკეთებელი (ელექტროტექნიკოსი), დაბალი ძაბვის ელექტრიკოსი – როგორც თავდაცვის ძალებში არსებულ სასწავლებლებში, ასევე თავდაცვის სამინისტროს დაფინანსებით სამოქალაქო კოლეჯებსა და პროფესიული მომზადების ცენტრებში. რეგისტრაცია წარმოებს ონლაინ – mod.gov.ge/onlinebct.mod.gov.ge, ასევე იუსტიციის სახლებსა და საზოგადოებრივ ცენტრებში.



## ტერიტორიული რეზერვის პროგრამა

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ტერიტორიული რეზერვის პროგრამას განაგრძობს. ტერიტორიული, ანაზღაურებადი რეზერვი სამხედრო ვალდებულების მოხდის ნებაყოფლობით ფორმას წარმოადგენს და ქვეყნის თავდაცვაში მოქალაქეების ჩართულობას უზრუნველყოფს.

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, რეზერვში მიიღებიან საქართველოს მოქალაქეობის მქონე 18-დან 51 წლამდე პირები, მათ შორის სტუდენტები 18-დან 22 წლის ჩათვლით. მიღებისას რეზერვისტს ოთხწლიანი კონტრაქტი უფორმდება. მათი ანაზღაურება ყოველთვიურად წოდებრივი სარგოს 20% შეადგენს, ხოლო ქვედანაყოფში ყოფნისას ხელფასს სრულად იღებენ. რეზერვში ჩარიცხული რეზერვისტის მინიმალური წლიური ანაზღაურება 4 218 ლარია. ტერიტორიულ რეზერვში გაწვევა/ჩარიცხვა ხდება ტერიტორიული (რეგისტრაციის ადგილის) პრინციპით. რეზერვისტების საბრძოლო მომზადება წლის განმავლობაში 45 დღემდე პერიოდს მოიცავს, რომელიც 12 თვეზე თანაბრად ნაწილდება. შეკრებაზე გამოცხადების თარიღები წინასწარ არის ცნობილი.**

მომზადების კურსის მთავარი მიზანია საველე შეკრებებზე რეალური საბრძოლო უნარების შესწავლა. ტერიტორიული რეზერვის გავლის პერიოდში მოქალაქეები უზრუნველყოფილნი არიან სოციალური და სამართლებრივი დაცვით, ასევე ინდივიდუალური სამედიცინო დაზღვევით. რეზერვში მიღება რეგისტრაციისა და სამხედრო სამედიცინო შემოწმების გავლის საფუძველზე ხორციელდება.




# აფეთქება ზღვაში!..

## უსაფრთხოების დაცვის მიზნით, საქართველოს ტერიტორიულ წყლებში, სანაპირო ზოლის გასწვრივ სპეციალური ბარიერები განთავსდება

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბათუმში, ზღვაში მომხდარ აფეთქებასთან დაკავშირებით ასეთი განცხადება გაავრცელა.

**„შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბათუმში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, შეტყობინების მიღებისთანავე, მყისიერი რეაგირება მოახდინა და შემთხვევის ადგილზე ოპერატიულად გამოცხადნენ შესაბამისი დანაყოფები, მათ შორის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, საპატრულო პოლიციისა და კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები.**

**მომხდარ ფაქტზე გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 229-ე მუხლით.**

**გამოძიების ფარგლებში, განხორციელდა განაღმვითი სამუშაოები, ამოღებულია ასაფეთქებელი მოწყობილობის ნარჩენები და დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები. ამოღებული და შესწავლილია მოქალაქეების მიერ გადაღებული, ფაქტის ამსახველი კადრები. პოლიციამ უკვე გამოკითხა თვითმხილველები.**

**სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლები სწრაფმავალი კატარღებით ეტაპობრივად ახდენენ ბათუმისა და ფოთის მიმდებარე აკვატორიის, ასევე, ნავსადგურების დათვალიერებას, აგრეთვე ახორციელებენ ანაკლიიდან სარფამდე სანაპირო ზოლის მონიტორინგს. საგანგებო სიტუაციების სამსახურის შესაბამისი დანაყოფები სპეციალური დრონების საშუალებით პერიოდულად მონიტორინგს ახორციელებენ.**

**მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, სანაპირო დაცვის დეპარტამენტის და შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის თანამშრომლებს ერთმანეთთან მჭიდრო კომუნიკაცია აქვთ და კოორდინირებულად მუშაობენ.**

**ნებისმიერ შეტყობინებასა თუ ინფორმაციაზე ოპერატიულ რეაგირებას მოახდენს კრიმინალური პოლიცია.**

**სამინისტროს შესაბამისი დანაყოფები სპეციალური ტექნიკისა და აღჭურვილობის მეშვეობით მოახდენენ სანაპირო ზოლის დაცვის მონიტორინგს, განახორციელებენ უსაფრთხოების შესაბამის პრევენციულ ღონისძიებებს საქართველოს ტერიტორიულ წყლებში. ამასთანავე, გაიმართება საინფორმაციო შეხვედრები ადგილობრივ მეთევზეებთან, სანაოსნო-სატრანსპორტო საქმიანობაში ჩართულ ორგანიზაციებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან.**

**უსაფრთხოების დაცვის მიზნით, საქართველოს ტერიტორიულ წყლებში, სანაპირო ზოლის გასწვრივ განთავსდება სპეციალური ბარიერები. საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად გამოიცა სპეციალური ცირკულარი, ნავიგაციის უსაფრთხოების ზომების შესახებ. ნავსადგურების კაპიტნებისა და ჰიდროგრაფიული სამსახურის მიერ მოხდა ადგილობრივი მოსახლეობის, კომერციული, სატრანსპორტო და სატვირთო გემების, აგრეთვე თევზსაჭერი სეინერების წარმომადგენლების ინფორმირება.**

**რეგიონში არსებული ვითარების გამო, ბოლო პერიოდში მსგავსი ფაქტები დადასტურდა შავი ზღვის მიმდებარე სხვა სახელმწიფოებშიც.**

**საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტსა და შავი ზღვის აუზის ქვეყნებს შორის არსებული ურთიერთთანამშრომლობის ფორუმის ფარგლებში, გასული წლის განმავლობაში განხორციელდა ინფორმაციის მოწოდება, კერძოდ, ბულგარეთის შავი ზღვის სასაზღვრო საკოორდინაციო და საინფორმაციო ცენტრიდან და თურქეთის ეროვნული საკოორდინაციო ცენტრიდან მიღებულ იქნა ინფორმაცია შავი ზღვის აუზის ქვეყნების საზღვაო სივრცეში (თურქეთი, რუმინეთი, ბულგარეთი და უკრაინა) აღმოჩენილი მცურავი ნაღმების შესახებ. ასევე გვეცნობა, რომ ცუდი მეტეოროლოგიური პირობების (შტორმი) შედეგად, შესაძლებელია, მცურავი ნაღმები შემოტანილ იქნას საქართველოს საზღვაო სივრცეში.**

შინაგან საქმეთა სამინისტრო მოქალაქეებს მოუწოდებს, რომ ზღვაში ან სანაპირო ზოლზე საეჭვო ნივთის შემჩნევის ან აღმოჩენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ დაუკავშირდნენ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112"-ს და დეტალურად მიაწოდონ ინფორმაცია", – ნათქვამია შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

## იენს სტოლტენბერგი: ვლადიმერ პუტინმა არასათანადოდ შეაფასა უკრაინელი ხალხისა და მისი არმიის ძალა...

**თითქმის ერთი წელი გავიდა, რაც რუსეთმა უკრაინაში ომი დაიწყო, უკანონო აგრესიული ომი, რომელმაც უკრაინელ ხალხს წარმოუდგენელი ტანჯვა მოუტანა, შეარყია მშვიდობა ევროპაში და გავლენა იქონია მთელ მსოფლიოში საკვებისა და ენერგოკრიზისის თვალსაზრისით,** – ამის შესახებ ნატოს გენერალურმა მდივანმა, იენს სტოლტენბერგმა ბრიუსელში, ალიანსის თავდაცვის მინისტრების შეხვედრის დაწყების წინ განაცხადა.

**მისი თქმით, რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა ორი დიდი სტრატეგიული შეცდომა დაუშვა,** – მან არასათანადოდ შეაფასა უკრაინელი ხალხისა და მისი არმიის ძალა, სიმამაცე და ნატოსა და მისი პარტნიორების ერთიანობა.

**ნატოს მოკავშირეები უპრეცედენტო მხარდაჭერას უზრუნველყოფენ უკრაინისთვის, რათა დაეხმარონ, დაიცვას თავდაცვის უფლება. დასაწყისიდანვე ჩვენ ძალიან მჭიდროდ ვმუშაობთ ევროკავშირთან უკრაინის მხარდასაჭერად, რამდენ ხანსაც ეს საჭირო იქნება. დღეს ჩვენ განვიხილავთ ჩვენი მხარდაჭერის გაგრძელებას, რაც მნიშვნელოვანია უკრაინის გამარჯვებისთვის, როგორც დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოსთვის და საერთაშორისო წესებზე დაფუძნებული წესრიგის შესანარჩუნებლად",** – განაცხადა სტოლტენბერგმა.

# ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების მეგობრობა სამაგალითოა მთელი მსოფლიოსთვის!



**აზერბაიჯანისა და საქართველოს მეგობრობა ემყარება ისტორიულ ფესვებს და ეს იშვიათი შემთხვევაა, როდესაც ყველა საკითხთან დაკავშირებით ჩვენი ქვეყნების მართვის თითქმის ყველა საფეხურზე აზრები ერთმანეთს ემთხვევა, არსებობს ურთიერთგაგება, სრული თანხმობა. ჩვენს ხალხებს ახასიათებთ მეგობრობის, ძმობის გრძნობა, სახელმწიფო სტრუქტურებს შორის არავითარი პრობლემა არ არსებობს. ეს კიდევ უფრო ნათლად გამოვლინდა ჩვენი ქვეყნების მიერ დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ. ამ კონტექსტში, შეიძლება აღვნიშნოთ აზერბაიჯანელი ხალხის საყოველთაო ეროვნული ლიდერის ჰეიდარ ალიევის დამსახურება.**

მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანის პოლიტიკურ ხელისუფლებაში დაბრუნდა ჰეიდარ ალიევი, რომელმაც ჯერ კიდევ საბჭოთა დროს ჩაუყარა საფუძველი საქართველოსთან მჭიდრო ურთიერთობას, დღის წესრიგში კვლავ დადგა ამ მეგობრულ და მოძმე ქვეყანასთან სტრატეგიული თანამშრომლობის მოწესრიგების საკითხი. საყოველთაო ეროვნული ლიდერი, რომელიც ამბობდა, რომ „საქართველოსა და აზერბაიჯანს აქვთ თანამშრომლობის დიდი შესაძლებლობები“, ძალისხმევას არ იშურებდა ამ შესაძლებლობების რეალიზაციისთვის და ურთიერთგაგების მოწესრიგებისთვის.

ნავთობის, გაზისა და სატრანსპორტო გლობალური პროექტების რეალიზაცია არის სწორედ ურთიერთგაგებისა და გულწრფელი თანამშრომლობის ნაყოფი. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა ძალები გამოდიოდნენ ამ პროექტების წინააღმდეგ და რა გზებს მიმართავდნენ, რათა წინააღმდეგობა გაეწიათ მათი რეალიზაციისთვის. მაგრამ ამ ქვეყნების როგორც ადრინდელი, ასევე ამჟამინდელი ხელმძღვანელების პრინციპულმა პოზიციამ, ძმურმა ურთიერთობებმა ხელი შეუწყვეს ამ წინააღმდეგობათა დაძლევას და ეს გლობალური პროექტები, რომლებიც ემსახურებიან როგორც აზერბაიჯანელი, ასევე ქართველი ხალხის მომავალ კეთილდღეობას და კიდევ უფრო განამტკიცებენ ჩვენს მეგობრობას, რეალობად იქცნენ. შემთხვევითი არაა, რომ დღეს საქართველოს დედაქალაქის ერთ-ერთი დიდი ქუჩა ატარებს ჰეიდარ ალიევის სახელს. სწორედ ამ ქუჩაზეა აღმართული აზერბაიჯანელი ხალხის ეროვნული ლიდერის ჰეიდარ ალიევის ძეგლი. ყველაფერი ეს შეიძლება შეფასდეს როგორც ქართველი ხალხის მადლიერება ჰეიდარ ალიევის მიმართ, რომელმაც გამოიჩინა რა დიდი გამბედაობა და პოლიტიკური ნება, მიაღწია ნავთობისა და გაზის მსხვილი მილსადენების გაყვანას სწორედ საქართველოს ტერიტორიის გავლით.

ერთობლივი ძალისხმევა რეგიონში მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში, ეკონომიკური თანამშრომლობა, საერთო ენერგეტიკული პროექტები და აგრეთვე ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების გამაერთიანებელი ისტორიული მეგობრობა და ძმობა საშუალებას გვაძლევს დღეს დამაჯერებლად ვილაპარაკოთ იმაზე, რომ „ქართველ და აზერბაიჯანელ ხალხთა მეგობრობა სამაგალითოა მთელი მსოფლიოსთვის“!

სწორედ ასე ამბობდა ჰეიდარ ალიევი.

* * *

**როგორც აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა აღნიშნა, „აზერბაიჯანი-საქართველოს ურთიერთობებს დიდი მნიშვნელობა აქვს რეგიონში. ჩვენი მეგობრული და ძმური ურთიერთობების განვითარება მნიშვნელოვანია როგორც ჩვენი ხალხებისთვის, ასევე ჩვენი ქვეყნებისთვის და დიდი მნიშვნელობა აქვს რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.**



ჩვენი ქვეყნების სტრატეგიული პარტნიორობა, ისევე როგორც სხვა სფეროებში, დასტურდება აგრეთვე აზრთა ერთიანობით და ერთმანეთის პოზიციების მხარდაჭერით იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელთა განხილვა ხდება მაღალ საერთაშორისო ფორუმებზე. ასეთ პარტნიორობას მყარი საფუძველი აქვს.

ჰეიდარ ალიევის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით მოგონებებს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე გააზიარებენ საქართველოს ცნობილი სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული მოღვაწეები და აზერბაიჯანული თემის წარმომადგენლები.

## ჰეიდარ ალიევი მუდამ ფიქრობდა საქართველოში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებზე

– ეს სიტყვები საქართველოს პარლამენტის ყოფილმა დეპუტატმა **რამიზ ბაქიროვმა** აზერბაიჯანელთა ეროვნული ლიდერის ჰეიდარ ალიევის შესახებ თქვა.

რ. ბაქიროვი ამბობს, რომ ჰეიდარ ალიევის აზერბაიჯანის ხელისუფლებაში მოსვლით საქართველოშიც ბევრი იყო ბედნიერი: „ყოველთვის ვფიქრობდი, რომ შევხვდებოდი, ცხოვრებამ ეს ისე გააკეთა, რომ ჩემი სურვილი ახდა.

ბაქოში, სადაც ბაქიროვი უმაღლეს განათლებას იღებდა, 1976 წელს აზერბაიჯანის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მირზა იბრაჰიმოვის სპექტაკლის „გლეხის გოგონას“ სანახავად წავიდა. მას ყოველთვის დიდი ინტერესი გააჩნდა თეატრისა და სპექტაკლების მიმართ.



რამიზ ბაქიროვი

რამიზ ბაქიროვი იხსენებს: „სპექტაკლი ჯერ არ იყო დაწყებული. უცებ დარბაზში ღრმა სიჩუმე ჩამოვარდა. ხალხი ადგა და ვიღაცას მიესალმა. ის კაცი იყო ჰეიდარ ალიევი. დიდი წინამძღოლი ხალხს ღიმილით მიესალმა და ზოგიერთთან საუბრის შემდეგ წინა რიგების ერთ-ერთ სკამზე ჩამოჯდა. სპექტაკლი დაიწყო და ყველას ყურადღება სცენაზე გადავიდა. სპექტაკლის შემდეგ მაყურებლის აპლოდისმენტები ისმოდა. ჰეიდარ ალიევი მსახიობებს შეხვდა. ახალგაზრდა ვიყავი. გვერდით მყოფებს ვკითხე, რას აკეთებდა და რას ეუბნებოდა მსახიობებს. შუახნის მამაკაცმა შემომხედა და მითხრა, რომ ჰეიდარ ალიევს ძალიან უყვარს თეატრი და კინო. უყვარს სპექტაკლების, ფილმების ნახვა და მსახიობებთან შეხვედრა. ახლაც შთაბეჭდილებებს უზიარებს მსახიობებს. მისი იდეები და რჩევები ძალიან მნიშვნელოვანია თეატრის მსახიობებისთვის, რეჟისორებისთვის და მწერლებისთვის.“

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველომ, აზერბაიჯანის მსგავსად, დაიბრუნა სახელმწიფო დამოუკიდებლობა. რ.ბაქიროვი, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა იმდროინდელ პოლიტიკურ პროცესებში, 1995 წელს აირჩიეს საქართველოს პარლამენტის დეპუტატად „საქართველოს მოქალაქეთა კავშირის“ კანდიდატად.

იმ დროს შამკირის რაიონის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური ასლან ასლანოვი, როგორც აზერბაიჯანის პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი, ყოველთვის მჭიდრო კავშირში იყო საქართველოში მცხოვრებ თანამემამულეებთან. საქართველოში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების პრობლემებით დაინტერესდა და მათ მოგვარებას ცდილობდა. ერთ დღეს ა. ასლანოვმა უთხრა რ.ბაქიროვს და კიდევ რამდენიმე აქტივისტს, რომ ისინი პირადად შეხვდებოდნენ ჰეიდარ ალიევს.

...და მართლაც, ა. ასლანოვის შუამავლობით 1996 წლის 6 იანვარს ბაქოს პრეზიდენტის სასახლეში ჰეიდარ ალიევს შეხვდნენ საქართველოს პარლამენტის მაშინდელი დეპუტატები რამიზ ბაქიროვი, ისაკ ნოვრუზოვი და ჰიდაიათ ჰუსეინოვი, ასევე AzTv-ის ქართველი კორესპონდენტი შაჰისმაილ მამედოვი. შეხვედრაზე, რომელიც ერთ საათზე მეტხანს გაგრძელდა, ჰეიდარ ალიევი ყურადღებით უსმენდა მათ და დაინტერესდა მათი პრობლემებით.

„საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს, არ დაგავიწყდეთ, რომ საქართველო თქვენი სამშობლოა, თქვენი სახელმწიფო. თქვენ ქართველ ძმებთან ერთად უნდა იმუშაოთ ამ სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში, განმტკიცებასა და განვითარებაში. ძალიან მიხარია, რომ თქვენ აგირჩიეს საქართველოს პარლამენტის წევრად. დაე, საქართველოში მცხოვრებმა აზერბაიჯანელებმა თავიანთი მონდომებითა და უნარებით ყველას გაუსწრონ“ – უთხრა ალიევმა საქართველოს წარმომადგენლებს.

შეხვედრაზე საუბარი ასევე შეეხო აზერბაიჯან-საქართველოს ურთიერთობების შემდგომი გაღრმავებისა და განვითარების



საკითხს. ჰეიდარ ალიევი არაერთ მასშტაბურ რეგიონულ ენერგეტიკულ პროექტზე საუბრობდა. აზერბაიჯანის ეროვნული ლიდერი ამბობდა, რომ აზერბაიჯანული ნავთობის ევროპაში ტრანსპორტირების რამდენიმე მარშრუტი არსებობს. თუმცა მას სურს, რომ ამ მილსადენმა საქართველოზე გაიაროს. ჩვენ ახლა ვმუშაობთ ამ პროექტებზე. მე ვცდილობ, რომ მილსადენი, რომელიც აზერბაიჯანის ნავთობს ევროპაში გადაიტანს, საქართველოზე გავიდეს. საქართველოში ასიათასობით თანამემამულე გვყავს. მე არ შემიძლია გულგრილი დავრჩე მათი ბედის მიმართ".

შეხვედრაზე ასევე განიხილეს საქართველოში აზერბაიჯანის საელჩოს გახსნის საკითხი. ჰეიდარ ალიევს სურდა, ელჩი ყოფილიყო ადამიანი, რომელიც კარგად იცნობს საქართველოს და ჩვენი თანამემამულეების პრობლემებს და იკითხა, ჰყავთ თუ არა ასეთი თანამემამულე. ერთი ადამიანის კანდიდატურაც წამოაყენეს. ჰეიდარ ალიევმა თავის თანაშემწეს დაავალა ამ პიროვნების სახელის ჩაწერა.

დელეგაციის წევრებმა ჰეიდარ ალიევი თანამემამულეების სახელით საქართველოში დაპატიჟეს.

ჰეიდარ ალიევმა თქვა, რომ ასეთი მოწვევა მისი ახლო მეგობრისგან ედუარდ შევარდნაძისგან მიიღო. დიდი ლიდერის ვიზიტი საქართველოში 1996 წლის 8-9 მარტს შედგა.

რ.ბაქიროვის თქმით, ეს ვიზიტი იყო ძალიან წარმატებული.

შემდეგ ჩვენი თანამემამულეები ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური სახელმწიფო დრამატულ თეატრში პრეზიდენტ ჰეიდარ ალიევს შეხვდნენ. სიტყვით გამოსვლისას საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ამ ქვეყანაში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს დიასპორა უწოდა. ამან ჰეიდარ ილიევის პროტესტი გამოიწვია. ჩვენმა დიდმა წინამძღოლმა მაშინვე გამოთქვა თავისი აზრი და თქვა: „საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები დიასპორა არ არის. ისინი აბორიგენი ხალხია. აქედან გამომდინარე, არ არის სწორი მათ დიასპორა ვუწოდოთ. ისინი ჩვენი თანამემამულეები არიან".

ე. შევარდნაძემ თქვა, რომ ტერმინი დიასპორა მხოლოდ იმიტომ გამოიყენა, რომ ყველა ენაზე კარგად ჟღერს..

ჰეიდარ ალიევმა ჩვენი თანამემამულეებისადმი მიმართვაში განაცხადა: „საქართველოში მცხოვრებო აზერბაიჯანელებო! თქვენი წინაპრები, აზერბაიჯანელი ხალხი და ქართველი ხალხი ერთად იბრძოდნენ უცხოელთა წინააღმდეგ. ისინი იცავდნენ თავიანთ მიწას. ეს მეგობრობა დღესაც გრძელდება. ამიტომ, ძვირფასო დებო და ძმებო, ეს თქვენი სამშობლოა, ეს არის თქვენი მიწა. თქვენ ცხოვრობთ თქვენს სამშობლოში, თქვენს მიწებზე".

რ.ბაქიროვი ასკვნის, რომ ეს გამოსვლა იყო დიდი ლიდერის დიდი სიყვარულის გამოხატულება ქართველი ხალხის მიმართ.

რ. ბაქიროვმა გაიხსენა დიდი ლიდერის გამოსვლა 2001 წელს მსოფლიოო აზერბაიჯანელთა I კონგრესში მონაწილეობისას და თქვა: „სიტყვით გამოვიდა ჰეიდარ ალიევი და მოუწოდა მსოფლიოს აზერბაიჯანელებს სოლიდარობისკენ, ერთიანობისკენ, შეინარჩუნონ და განავითარონ საკუთარი ეროვნული და მორალური ფასეულობები, სრულყოფილად ისწავლონ მშობლიური ენა. ეს მოწოდება მართლაც მნიშვნელოვანი იყო მსოფლიოს აზერბაიჯანელთა ერთიანობისთვის.

* * *

**რესპონდენტი ხაზგასმით ამბობს, რომ აზერბაიჯანელი ხალხი ბედნიერი ხალხია. მას ჰყავს დღეს დიდი ლიდერი, რომელიც მსოფლიოში ცნობილი ისტორიული ფიგურისა და პრაგმატული პრეზიდენტის პოლიტიკურ კურსს წარმატებით აგრძელებს, ინარჩუნებს ეროვნულ იდეებს და ახორციელებს მათ. დღეს აზერბაიჯანელი ხალხი და მსოფლიოს აზერბაიჯანელები, ისევე როგორც საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები, მჭიდროდ არიან გაერთიანებულნი თავიანთი ისტორიული სამშობლოს აზერბაიჯანის, მისი პრეზიდენტის, უმაღლესი მთავარსარდლის ილჰამ ალიევის გარშემო.**

ეს კავშირი მარადიული და უკვდავია. ის არასოდეს უნდა დაირღვეს, – განაცხადა რამიზ ბაქიროვმა.




# სისხლში ამოვლებული სულით

**ამ დღეებში საქართველოს პრეზიდენტმა ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემია გადასცა ცნობილ ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს როსტომ ჩხეიძეს.**

**კიდევ ერთხელ ვულოცავთ ჩვენიგაზეთის მუდამ სასურველ ავტორს ამ აღიარებას და მკითხველს ვთავაზობთ პროფესორ ნინო ვახანიას შთაბეჭდილებებს პრემირებულ რომანზე – „კალამი გოლგოთაზე".**



როსტომ ჩხეიძემ ჩვენს დროში უჩვეულო პოპულარობა მოუპოვა ბიოგრაფიული რომანის ჟანრს. ბოლოდროინდელი რომანი – **„კალამი გოლგოთაზე (მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრების ქრონიკა)" („არტანუჯი", 2021)** არღვევს ჟანრის ჩარჩოებს და წარმოგვიდგება მწერლის ბიოგრაფიის მხატვრული გააზრებისა და უაღრესად სკრუპულოზური მეცნიერული კვლევის ნიმუშად.

მთელი რომანი რეალისტური მანერითაა შესრულებული. ყველა ცნობა, ინფორმაცია, დეტალი დოკუმენტური სიზუსტითაა გადმოცემული. მათზე დაყრდნობა შეიძლება, როგორც უტყუარ ისტორიულ წყაროზე. ამავე დროს, ბიოგრაფოსი გვთავაზობს ღრმა, საფუძვლიან გამოკვლევებს, რომლებიც საფიქრალად, სამსჯელოდ, ამა თუ იმ დებულებისა თუ მიგნების სხვადასხვა თვალით დასანახავად, სხვადასხვა ჭრილში გასააზრებლად განაწყობს (უბიძგებს) მკითხველს.

დიდი ერუდიცია, ფართო თვალთახედვა, მსოფლიოო ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ცოდნა, და კიდევ ჩვენთვის ხილულ თუ უხილავ თვისებათა ერთობლიობა, მადლი აძლევს საშუალებას როსტომ ჩხეიძეს შეუზღუდავი, უნაპირო განსჯა-მსჯელობისა.

მოცულობითაც დიდი რომანი შთაგონებულია, უპირველესად, მიხეილ ჯავახიშვილის უბის წიგნაკის ჩანაწერებით. ერთი მოზრდილი რომანისხელა ეს „წიგნაკი", რომელშიც, ავტორი, როგორც თვითონ წერს, დღეში ათიოდე აზრს მაინც ჩაინიშნავდა, თვალნათლივ წარმოგვიდგენს ქართველ მწერალს და ქართულ მწერლობას ევროპული კულტურული სივრცის ნაწილად.

ბუნებრივია, რომ რომანში მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება მსოფლიოო ლიტერატურულ კონტექსტშია წარმოჩენილი.

წიგნმა და მწერალმა ჩვენს ეპოქაში დაკარგეს საზოგადოებრივი ცხოვრების წარმმართველის ფუნქცია?! არსებითად, ეს ასეა – ვისთვის სამწუხარო და გულისმომკვლელი, ვისთვის საზეიმო და სასიხარულო სინამდვილე. თუმცა ისეთი რომანები, როგორიცაა „კალამი გოლგოთაზე", გვაფიქრებინებს (და გვარწმუნებს), რომ მთლად უნუგეშოდ არ გამქრალა მკითხველზე წიგნის გავლენის (ზემოქმედების) კვალი.

ბულვარული, მსუბუქი თხზულებებისაგან განსხვავებით, მიხეილ ჯავახიშვილის შესახებ შექმნილ ბიოგრაფიულ რომანს ერთხელ, თავიდან ბოლომდე წაკითხვით ვერ ამოწურავ. თვითონვე გიწვევს კვლავ და კვლავ მისაბრუნებლად - ხან რომელი რეალიის დასაზუსტებლად, ხან რომელი ეპიზოდის გასახსენებლად, ხან მოხდენილი პარალელის მოსაძიებლად, ხანაც მხოლოდ ესთეტიკური სიამოვნების მისაღებად, ასაღელვებლადაც და დასამშვიდებლადაც, სანაღვლოდაც და სახალისოდაც.

ახალი, ორიგინალური ხედვის სიუხვით გამორჩეულ ნაწარმოებში ისე როგორ იქნება, რომ საყოველთაოდ დამკვიდრებული და მიღებული, ყველა წიგნიერი ადამიანისთვის ცნობილი თვალსაზრისი თუ ფაქტი არ იყოს მოხმობილი. და ყოველთვის, ყველა შემთხვევაში, დასამახსოვრებელი, დაუვიწყარი ხატი იქმნება. ვთქვათ, მიხეილ ჯავახიშვილი ილიას მკვლელობის გამომძიებელი – ბრალდების ეროვნული პოზიციიდან გამომთქმელი, უკომპრომისო, გაბედული, თავზეხელაღებულიც კი – ერთ-ერთია იმ ღირსსახსოვარ პორტრეტთაგან, რომელთაც წიგნში არ მოვისაკლისებთ.

სათაური („კალამი გოლგოთაზე") სიმბოლურია. ვარიაციაა ჯავახიშვილისეული ფრაზისა, რომელიც პირველ ეპიგრაფადაა გამოტანილი: „ქართული კალამი ძალიან ჰგავს გოლგოთურ ჯვარს, რომელსაც ხელით ვატარებთ".

სიმართლის თქმა, არსებული სინამდვილის პირდაპირ, გაბედულად მხილება, უკომპრომისო ბრძოლა მარადიული იდეალებისთვის, მარტო ძალადობრივი რეჟიმების პირობებში კი არა, ყველა დროსა და ყველა სივრცეში ჰქცევია ერის წინამძღოლთან გაიგივებულ მწერალს გოლგოთად. ოღონდ გოლგოთას, ეკლის გვირგვინს გარდუვალად უნდა მოჰყვეს აღდგომა, უკვდავება, მსხვერპლის სისხლით განსაზღვრული მომავალი...

წიგნი კომპოზიციურად შეკრულია, მთლიანია, მონოლითურია – მრავალი თემა, საკითხი, ვარიაცია... ერთი იდეის გარშემო იყრის თავს. გამიჭირდება ერთი ფრაზით ამ გამსჭვალავი იდეის სრულად ჩამოყალიბება, მაგრამ ერთი სიტყვით, ეს არის – სამშობლო.

წიგნს სჭირდება ინტელექტუალური მკითხველი, რომელიც ავტორის უაღრესად ღირებულ, შეიძლება ითქვას, ფუძემდებლურ მიგნებებსა და მახვილგონივრულ დასკვნებს გაეცნობა. ეს, ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, კარგად ცნობილ ამბებშიც სხვა სიღრმეებს აღმოაჩენს.

როსტომ ჩხეიძის მდიდარი, ფერადოვანი ქართული, ინდივიდუალური, ყველასგან გამორჩეული სტილი ითხოვს და გულისხმობს მკითხველის თანამონაწილეობას ნათქვამის აღსაქმელად.

თუ აქამდე ქართული სიტყვაკაზმული მწერლობა ერთგვარად ვალში იყო დიდი მწერლის, მიხეილ ჯავახიშვილის წინაშე, ახლა ეს ხარვეზი ამოვსებულია. რომანში, ცხადია, არამარტო ერთი ადამიანის თავგადასავალი, არამედ მთელი ეპოქაა დახატული – ურთულესი თავისი შინაგანი კანონზომიერებებითა თუ პარადოქსებით. წარმოჩენილია ეპოქის შემქმნელ პერსონათა მრავალფეროვანი გალერეა.




თხრობა გამოირჩევა დიდი ექსპრესიულობით. როსტომ ჩხეიძისთვის ნიშანდობლივი თავისებურება – რთული ფრაზა მრავალი შენაკადით – კიდევ ერთხელ საჩინოს ხდის მწერლის ენის ძალასა და მომხიბლაობას. დოკუმენტური თხრობა, ლირიკული ჩანართები, სამეცნიერო მსჯელობა... ერთმანეთს ისე ენაცვლება, რომ ვნებათა სიმძაფრე არ ნელდება და მკითხველი მოუბეზრებლად მიჰყვება ავტორს ბოლომდე. თხრობის მანერა მარტივი არ გახლავთ. გამოუცდელ მკითხველს უთუოდ შეჩვევაც დასჭირდება, მაგრამ თუ ერთხელ იგრძნობს, მიხვდება, ამ სირთულეში რა სისადავეა, მერე ვერც გამოეხსნება მის ანდამატურ მიმზიდველობას.

ენა რომ ძირია, ბალავარია მწერლობისა და ერისა, ამ აზრის თანახმანი ვართ უკამათოდ. ვინ, თუ არა მწერალი არის ენის გადამრჩენი, გამამდიდრებელი და შემნახავი. არიან შემოქმედნი, რომლებიც მარტო პრაქტიკულად კი არ ემსახურებიან ენის მოვლას, გაწმენდას, გაცოცხლებას, ახალი კალაპოტის გაჭრას – ეს თავისთავად – არამედ ბევრს ფიქრობენ და თავიანთ ნააზრევს ცალკეულ გამონათქვამებად, მცირე წერილებად თუ დიდ ნარკვევებად გვიტოვებენ.

ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი უპირველესია მიხეილ ჯავახიშვილი. სხვა უამრავ საგულისხმო საკითხთან ერთად, მას იმისთვისაც მიუქცევია ყურადღება, რომ გლეხისა და თავადაზნაურთა ქართული ერთი და იგივე იყო. ჯავახიშვილის ეს უაღრესად ფასეული დაკვირვება ბიოგრაფიული რომანის ავტორს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და საგულისხმო მსჯელობისა და დასკვნებისაკენ უბიძგებს. სხვათა შორის, ერთ-ერთი თავი ასეა დასათაურებული: „ენა ქართული, ენა ჯვარცმული".

მიხეილ ჯავახიშვილის „მტკივნეული პატრიოტიზმი" წიგნის ავტორის ანალოგიურ განწყობასაც აირეკლავს და აღბეჭდავს. და საერთოდ, ჯავახიშვილის შესახებ რომანისტის მიერ ნათქვამი არაერთი ეპითეტი შეიძლება განვაზოგადოთ თვითონ ბიოგრაფოსის დასახასიათებლად.

ოთხთავივით ოთხი კარისგან შედგება რომანი. თითოეულს მრავლისმეტყველი სათაური აქვს, თავებსაც - შესაფერისი სახელწოდებები. სარჩევიც ერთი ცალკე ესეა თითქოს, მთელი თხზულების ორგანული, განუყოფელი ნაწილი. ბოლო თავი ასეა დასათაურებული: „თეიმურაზ ხევისთავის ბიოგრაფია: ახალ სახარებად".

ძალაუნებურად განავრცობს მკითხველი ამ თეზას მიხეილ ჯავახიშვილის მთელ შემოქმედებაზე – ეს ღვაწლი უფრო მეტია, ვიდრე ერთი, თუნდაც საუკეთესო მწერლის მემკვიდრეობა, უფრო საკრალური, იდუმალი, ბოლომდე ვერშეცნობილი...

**გეოგრაფიულად არცთუ დიდი ჩვენი ქვეყანა მსოფლიოს ლიტერატურულ რუკაზე რომ უმნიშვნელო სულაც არაა, არ გახლავთ გადაჭარბებული შეფასება. დასტურად გამოდგება თუნდაც „კალამი გოლგოთაზე", რომელიც ახალ ჰორიზონტს გადაშლის ჩვენ წინაშე, ახალ სიმაღლეებს დაგვანახებს, ახალ სივრცეებს ხსნის.**

აქ მიხეილ ჯავახიშვილის თანადროულ ეპოქასთან ერთად წარსულსაც ცხადად ვხედავთ. განსაკუთრებით წინა საუკუნის სურათია მკაფიოდ გამოკვეთილი და დროთა კავშირიც საჩინო ხდება, მოურჩენელი სატკივარიც, იდეის ძალაც, ქედმოუხრელობისა და მსხვერპლად თავის შეწირვის აუცილებლობაც. პერსონაჟთა მრავალპლანიანობა – ფილადელფოს კიკნაძე იქნება, არსენა ოძელაშვილი, თეიმურაზ ხევისთავი თუ სხვა – გამოკვეთს თვითონ ავტორის მრავალმხრივობას.

**უზარმაზარი (მოცულობით, შინაარსით, მნიშვნელობით) რომანის შექმნა წიგნიერი ქართველისთვის კარგად ნაცნობი და საყვარელი მწერლის შესახებ გარკვეული რისკია. საქმე ისაა, რომ ყველას თავისი მიხეილ ჯავახიშვილი ჰყავს, საკუთარი, არგუმენტირებული შეხედულება აქვს ამა თუ იმ პერსონაჟზე. ხედვის მთლიანად შეცვლა კი არა, ოდნავ რაკურსის გადანაცვლებაც, განმტკიცებული აზრის შევსება-განახლებაც არაა მარტივი და უმტკივნეულო პროცესი.**

როსტომ ჩხეიძე კი ისე სათუთად ახერხებს ჯავახიშვილის სულიერი სამყაროს გადაშლას, რომ მხოლოდ სიხარული თუ შეიპყრობს მკითხველს, გრანდიოზული სამყაროს აღმომჩენს, და სინანულიც იმისა, რომ აქამდე ამ სამყაროს მხოლოდ ნაწილს ხედავდა.

მიხეილ ჯავახიშვილი საკუთარ სამწერლო საქმიანობას სულის გმინვასთან აიგივებდა. ბედმა მას დააკისრა ილია ჭავჭავაძის მონიშნული გზის გაგრძელება, ხოლო ვინ განაგრძო მიხეილ ჯავახიშვილის ეკლიანი გზა, ამაზე მკითხველი რომანში იპოვის დასაბუთებულ პასუხს.

**კითხულობ რომანს და რწმუნდები ავტორის აღსარების გულწრფელობაში: „ვწერდი, როგორც მიხეილ ჯავახიშვილი „ჯაყოს ხიზნებს", ისეთი განცდა რომ გიჩნდება, აჰადა, სული სისხლში მაქვს ამოვლებულიო".**

„კალამი გოლგოთაზე" დიდი დარდის, დიდი საფიქრალის და დიდი რწმენისა და იმედების წიგნია. მასში გაცოცხლებულია, მკითხველთა სამსჯავროზეა გამოტანილი მწერლის უშინაგანესი განცდები, სულის თრთოლვა.

მიხეილ ჯავახიშვილს ასე წარმოედგინა, რომ საკუთარი პერსონაჟები ასამართლებდნენ. და განა დღევანდელ საზოგადოებაშიც არ ცხოვრობენ ისინი?!

ერთ პატარა წერილში შეუძლებელია წიგნის სრულყოფილებასთან ოდნავ მიახლოებულად განხილვაც კი. ჩემი მიზანი ეს არც არის. უფრო ვრცელი, უფრო უკეთესი, უფრო კომპეტენტური გამოხმაურებები მომავლის საქმეა.

**ნინო ვახანია**



# ახლებური დიზაინით მოწყობილი ქუჩები... ბრძოლა ვანდალიზმის წინააღმდეგ

## თბილისის მერიაში მთავრობის მორიგი სხდომა გაიმართა

**როგორც თბილისის მერმა განაცხადა, დღეიდან, თბილისის მერია დედაქალაქში არსებული 12 პრობლემური კვანძის მოწესრიგებას ბელიაშვილისა და ბალანჩინის ქუჩების კვეთიდან იწყებს.**

მისი თქმით, დედაქალაქში კომფორტულად გადაადგილების მიზნით, ქუჩები ახლებური დიზაინით მოეწყობა.

**„დედაქალაქში მდგრადი და კომფორტული გადაადგილებისთვის მნიშვნელოვანია არა მარტო საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელი, გამართული ავტობუსების რაოდენობა ან გზების რეაბილიტაცია, არამედ ქუჩის დიზაინი. ქუჩის ახალი დიზაინი ორიენტირებულია უსაფრთხო გადაადგილებაზე. პრიორიტეტი ენიჭება ტროტუარების გაფართოებას, ქვეითთა პანდუსებისა და ადაპტირებული გადასასვლელების მოწყობას. პარალელურად, მიმდინარეობს ახლომდებარე რეკრეაციული და საჯარო სივრცეების რეაბილიტაცია. ამჟამად, დედაქალაქში არის 12 პრობლემური კვანძი, რომელიც იწვევს საზოგადოებრივი ტრანსპორტის 1 500-მდე ბრუნის ჩავარდნას. ეს ნიშნავს, რომ დაახლოებით, 100 000-მდე მგზავრი ვერ იღებს სათანადო მომსახურებას. ამ პრობლემური კვანძების უმრავლესობა მდებარეობს საზოგადოებრივი ტრანსპორტის 10 ძირითად დერეფანზე და გავლენას ახდენს ავტობუსის მარშრუტების გამართულ ფუნქციონირებაზე. დაპირებისამებრ, ვიწყებთ აღნიშნული კვანძების მოწესრიგებას. კერძოდ, დღეიდან დაიწყება ბელიაშვილისა და ბალანჩინის ქუჩების კვეთაზე სამუშაოები, შაბათიდან, თავხელიძის ქუჩიდან, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირისა და ჟვანიას მოედნის მიმართულებით დაიწყება სამუშაოები“,** – აღნიშნა კახა კალაძემ.

თბილისის მერმა საზოგადოებას ფოტომასალა წარუდგინა, თუ როგორი იქნება რეაბილიტაციის შემდეგ ჟვანიას მოედანი. როგორც თბილისის მერმა აღნიშნა, საგზაო სამუშაოების მიმდინარეობისას იქნება გარკვეული შეზღუდვები, თუმცა, სატრანსპორტო საშუალებები არსებული სქემის მიხედვით გადაადგილდებიან.

* * *

დედაქალაქის მერის განცხადებით, თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური ვაჟა-ფშაველას გამზირზე, პირველ კვარტალში არსებული ციციშვილის სახელობის პარკის რეაბილიტაციას იწყებს.

**„ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია რეკრეაციული სივრცეების არსებობა ქალაქში, მათი მოწესრიგება, განახლება და დღეს კიდევ ერთ ძალიან დიდ პროექტს ვიწყებთ. დაახლოებით, 2 ჰექტარი ტერიტორია კეთილმოეწყობა. პარკში დაგეგმილია საბავშვო და სპორტული მოედნების, საფეხმავლო ბილიკების, ფანჩატურების, საპარკე ინვენტარის მოწყობა, გარდა ამისა, შეიცვლება გარე განათება, მოეწყობა ვიდეომეთვალყურეობისა და სარწყავი სისტემები. ტერიტორიაზე გათვალისწინებულია ცხოველების სასეირნო სივრცე და სკეიტპარკი.**

**პარკში დაირგვება ხე-მცენარეები და ჩატარდება გამწვანების სხვა ღონისძიებები. რა თქმა უნდა, ძალიან სასიამოვნო გარემო იქნება დასვენებისთვის, განტვირთვისთვის. იქ მცხოვრები ადამიანებისთვის გაჩნდება კიდევ ერთი ლამაზი და მნიშვნელოვანი სივრცე. ჩვენ მომდევნო წლებშიც ხელს შევუწყობთ ასეთი პროექტების განხორციელებას. ეს იყო ჩვენი დაპირება ადგილობრივი მოსახლეობისთვის და დღეს ვიწყებთ სამუშაოებს, რომელიც 2023 წლის ბოლოსთვის მთლიანად იქნება დასრულებული“,** – განაცხადა კახა კალაძემ.

* * *

**კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც დედაქალაქის მერმა ისაუბრა, ვანდალიზმია.**

კახა კალაძის განცხადებით, საზოგადოებრივი სივრცეებში და მუნიციპალურ ტრანსპორტში ვანდალიზმის ფაქტების პრევენციის მიზნით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებები მომზადდა.

**„ყველა ხედავს ბოლო წლების განმავლობაში რამდენი პარკი და სკვერი გაკეთდა ან განახლდა, რამდენი საზოგადოებრივი სივრცე მოწესრიგდა. ამის ფონზე, ძალიან სამწუხაროა, რომ ასეთ სივრცეებში, ასევე, ახალ საზოგადოებრივ ტრანსპორტში არსებულ ინვენტარს ხშირ შემთხვევაში განზრახ აზიანებენ, უმრავლეს შემთხვევაში ამას აკეთებენ მოზარდები.**

**გარდა იმისა, რომ ინფრასტრუქტურა და ინვენტარი ზიანდება და მას ჩვენი მოქალაქეები ვეღარ იყენებენ, მის აღსადგენად ან შესაცვლელად დამატებითი თანხების გამოყოფის საჭიროება ჩნდება, რაც შეიძლებოდა სხვა პროგრამებს მოხმარებოდა და ისევ ჩვენს თანამოქალაქეებს ესარგებლათ. ფაქტია, რომ ამ მიმართულებით აუცილებელია პასუხისმგებლობის გამკაცრება, რათა ამ ვანდალური ფაქტების პრევენცია მოხდეს“,** – აღნიშნა თბილისის მერმა.

**„მოედანზე, გზაზე, პარკში, სკვერში, მიწისქვეშა გადასასვლელში განთავსებული ინფრასტრუქტურის/ინვენტარის, საზოგადოებრივი სარგებლობისთვის განკუთვნილი სხვა ობიექტის, მათ შორის, საგზაო ნიშნის, შუქნიშნის, გარე სამეთვალყურეო კამერის განზრახ დაზიანება ან განადგურება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის განზრახ დაზიანება ან საზოგადოებრივ ტრანსპორტში არსებული ინვენტარის განზრახ დაზიანება ან განადგურება გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით. იგივე ქმედების განმეორებით ჩადენა კი გამოიწვევს 500 ლარით დაჯარიმებას ან ადმინისტრაციულ პატიმრობას.**

**აღნიშნული კანონპროექტი წარედგინება საქართველოს პარლამენტს და ჩვენ დიდი იმედი გვაქვს კანონმდებელთა მხარდაჭერის“,** – განაცხადა კახა კალაძემ.

დედაქალაქის მერის თქმით, დღეს მოქმედი რეგულაციით, სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება პასუხისმგებლობის დაკისრებას მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვალისწინებს, თუ დაზიანებული ან განადგურებული ნივთის ღირებულება 150 ლარს აღემატება.

* * *

**თბილისის მერმა ჩუღურეთის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე დავით მაქაცარიას კანდიდატურა წარადგინა. როგორც კახა კალაძემ მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე აღნიშნა, დავით მაქაცარიას საჯარო სამსახურში სხვადასხვა პოზიციებზე მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება გააჩნია.**

კახა კალაძემ საზოგადოებას კიდევ ერთი გამორჩეული თანამშრომელი წარუდგინა.

**„ბატონი ალექსანდრე ცინცაძე თითქმის 15 წელია თბილისის ზოოპარკის თანამშრომელია. იგი უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდება საქმეს. თბილისის ზოოპარკი ჩვენი დედაქალაქის ისტორიის და თითოეული ჩვენგანის ბავშვობის ნაწილია, რასაც კარგად აცნობიერებს ბატონი ალექსანდრე. მისთვის ზოოპარკი მხოლოდ სამსახური არაა, მას აბედნიერებს ცხოველებზე ზრუნვა. მინდა, მადლობა გადავუხადო ბატონ ალექსანდრეს გაწეული შრომისთვის, საქმიანობისთვის და წარმატებები ვუსურვო მომდევნო წლების განმავლობაში“,** – განაცხადა კახა კალაძემ.

# თბილისში ძველი შენობების 70 პროცენტი ავარიულია!

## და ეს ძირითადად შეეხება 1992 წლამდე ნაშენ სახლებს, რომლებიც ნაანგარიშები იყო 6 და 7 ბალზე

**მომავალი წლიდან შენობების სეისმომედეგობა და სტანდარტები კიდევ გამკაცრდება. სტანდარტების ამაღლება თურქეთსა და სირიაში მომხდარმა დამანგრეველმა მიწისძვრებმა განაპირობა. 2024 წლიდან საქართველოს სამშენებლო სტანდარტში ევროკოდები შემოვა, რომელმაც სექტორი ახალ ეტაპზე უნდა გადაიყვანოს, მათ შორის, აამაღლოს შენობების სეისმომედეგობა და უსაფრთხოება. საგანგაშოა თუ არა დღეს დედაქალაქში სეისმედეგობის მხრივ მდგომარეობა?**

საპროექტო კომპანია „ქიუ ინჯინერინგის“ დამფუძნებელი, მთავარი ინჟინერი **ირაკლი ურუშაძე** ამბობს, რომ ევროკოდები მთლიანად შეცვლის იმ საპროექტო ნორმებს, რაც შენობის მზიდი ნაწილების გაანგარიშება-დაპროექტების საკითხს ეხება საპროექტო დოკუმენტაციაში. შედეგად სამშენებლო ნორმები გათანაბრდება ევროპულთან და ამაღლდება შენობებისა და მშენებლობების უსაფრთხოებაც. პარალელურად, განახლდება სეისმური რუკებიც, რაც საფრთხის შეფასების საფუძველია.



**„დღეს მოქმედი სეისმური რუკა მოძველებულია, ისინი ყოველთვის ახლდება და მკაცრდება. ყველა შემთხვევაში, ის რუკა, რაც შემოვა ევროკოდთან ერთად, უფრო მკაცრი იქნება, უსაფრთხოება გახდება უფრო პრიორიტეტული, რადგან, გარდა რუკებისა, თანამედროვე მეთოდოლოგია დაინერგება, რითაც უნდა დაითვალოს შენობაზე სეისმური ზეგავლენა, რაც შეამცირებს რისკებს და გაზრდის სეისმომედეგობას.**

**ქართული სეისმური სტანდარტი 2010 წელსაა მიღებული. ის ითვალისწინებს რაღაც ფორმით ევროპულ ნორმებსაც, უკრაინულსაც, ძველ საბჭოთა ნორმებსაც, მაგრამ ეს უკვე მოძველებულია. როგორც წესი, 10 წელიწადში ერთხელ იცვლება ხოლმე იქიდან გამომდინარე, რომ ცოდნა იზრდება იმ სფეროში“,** – განაცხადა ირაკლი ურუშაძემ „და დასძინა, რომ ევროკოდების შემოსვლა ძირითადად, ინჟინრებს ეხებათ, თუმცა ეს ასევე ავტომატურად გამოიწვევს მასალებისა და მშენებლობის ზედამხედველობაში ევრორეგულაციების შემოტანას, რაც გაზრდის მშენებლობის ხარისხს, გაათანაბრებს მას ევროპულ ხარისხთან.

**„საქართველოში მშენებლობისა და მასალების წარმოების ხარისხიც აიწევს. ეს განაპირობებს შენობებისა და მშენებლობების უსაფრთხოების ამაღლებას. ასევე, ცვლილებების ფარგლებში, იგეგმება სეისმური რუკების განახლებაც. ყველაზე თანამედროვე რუკა იქნება დანერგილი, რაც თავისთავად აწევს სეისმომედგეგობასაც მომავალი შენობების, რომელიც დაპროექტდება“,** – დასძინა ურუშაძემ.

როგორც მშენებლები ამტკიცებენ თბილისში შენობების 70% ავარიულია და ეს ძირითადად შეეხება 1992 წლამდე ნაშენ შენობებს.

არქიტექტორი **ირაკლი როსტომაშვილის** ინფორმაციით, 1992 წლის შემდეგ ნაშენები მშენებლობები საკმაოდ მყარი კონსტრუქციებია, რომლებიც 8 ბალის სიმძლავრის მიწისძვრას უნდა უძლებდეს. პრობლემას წარმოადგენს ის, რომ საცხოვრებელი სახლების უმრავლესობის ექსპლუატაციის ვადა დიდი ხანია გასულია და პარალელურად კი ყველაზე დიდ საფრთხეს უნებართვო მიშენებები და დაშენებები ქმნის.

**„თურქეთში მიწისძვრას კატასტროფული ნგრევა მოჰყვა. ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ საცხოვრებელი სახლები, რომლებიც თბილისში შენდება, საშიშია, ეს არის მცდარი ინფორმაცია. 1992 წლის შემდეგ, როდესაც თბილისში შეიცვალა სეისმომედეგობის მაჩვენებელი 8 ბალზე, მას შემდეგ დაპროექტებული შენობები ამ სტანდარტებს შეესაბამება. აქ ერთმანეთში ხშირად ურევენ ე.წ. ბეტონის ჯუნგლებს, იერსახეს, გარემოს ან უსისტემო განაშენიანებას, მაგრამ ამას არანაირი შეხება არ აქვს შენობის კონსტრუქციულ მდგრადობასთან.**

**რაც შეეხება პრობლემებს, თბილისში ძალიან სერიოზული პრობლემები გვაქვს ავარიულ შენობებთან დაკავშირებით. შეიძლება ითქვას, რომ თბილისში შენობების 70% ავარიულია და ეს ძირითადად შეეხება 1992 წლამდე ნაშენ შენობებს, დავიწყოთ ისტორიული შენობებით 1800-იან 1900-იანი წლების დასაწყისში ნაშენებით, რომელიც ნაანგარიშები იყო 6 და 7 ბალზე. რაც მთავარია, ამ შენობებს არასწორად უტარდებოდა ექსპლუატაცია, იყო გაუაზრებელი მიშენებები, დაშენებები, გადაკეთებები, კონსტრუქციული კედლის გამონგრევები და ა.შ. ეს არის სერიოზული პრობლემა და საშიშია“.**

როგორც არქიტექტორი ამბობს, **დღეს, 2009 წელს დაკორექტირებულ რუკაზე დაყრდნობით ხდება ყველა შენობისა და საინჟინრო ნაგებობის დაპროექტება და ამჟამად რუკა არ შეესაბამება რეალურ სურათს, შესაბამისად იგი შესაცვლელია.**

**ბექა დანელია**

# კოტეჯები უსახლკარო მოქალაქეებისთვის

**გორის მუნიციპალიტეტის მერია უსახლკარო მოქალაქეების საცხოვრისებით უზრუნველყოფის პროგრამას აგრძელებს.**

ამ ეტაპზე საცხოვრისების მოწყობის სამუშაოები უფლისციხესა და ბერბუკში მიმდინარეობს. კოტეჯების მოწყობა იგეგმება მერეთსა და კარალეთშიც. ორივე სოფლებში პროექტის განხორციელების მიზნით მიმდინარეობს ტენდერი.



გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უსახლკარო ადამიანებისთვის საცხოვრისების მოწყობის გადაწყვეტილებას, მერიაში შექმნილი სპეციალური კომისია იღებს.

# განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[I]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს კადიმ ალი ოღლის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** კადიმ ალი ოღლი (პ/ნ 24001006681), კასპი, სოფელი ხიდისყური

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

კასპი, სოფელი ხიდისყური (საკადასტრო კოდი: 67.07.37.233https://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 53803.19 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 14 თებერვალი, 14:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 28 თებერვალი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის #71271HZP86726323;

აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 867263

6. **მოვალე:** კადიმ ალი ოღლი (პ/ნ 24001006681), კასპი, სოფელი ხიდისყური;

გიაზ კიზი ხანუმ (პ/ნ 24001023582), კასპი, სოფელი ხიდისყური

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. #40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის #71271HZP86726323; ლოტის ნომერი: 867263).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 28 თებერვლის 10:00 საათამდე.



# ავტოსადგურებში სრული გაურკვევლობაა!

**საქართველოს მთავრობა ქვეყანაში არსებული ავტოსადგურების რეგულირებას და მათ ლიცენზირებას გეგმავს. კანონპროექტის მიხედვით, რომლის განხილვასაც პარლამენტი საგაზაფხულო სესიაზე აპირებს, მოხდება ავტოსადგურების დიფერენცირება 3 კლასად, სანებართვო საქმიანობის სახეები კი შემდეგნაირად განისაზღვრება – საავტომობილო-სამგზავრო გადაყვანა და საერთაშორისო საავტომობილო-სატვირთო გადაზიდვა.**

**„დიდუბის ავტოსადგურის“ ხელმძღვანელი, ნესტორ მიქატაძე** „კომერსანტთან“ ამბობს, რომ კანონპროექტის მიღება აუცილებელია, თუმცა სამუშაო პროცესში ავტოსადგურების წარმომადგენლების ჩართვა მნიშვნელოვანია. მისი თქმით, ცვლილებები ისეთ პუნქტებს უნდა ითვალისწინებდეს, რომელიც ე.წ. ხიშნიკებს მუშაობის უფლებას აუკრძალავს.

**„მთავრობა გვეუბნება, რომ მალე დაგვიკავშირდებიან და ჩაგვრთავენ პროცესში, წლებია, ამ ცვლილებებს ველოდებით და სახელმწიფოსგან ვითხოვთ, კანონპროექტი მის მიღებამდე გაგვაცნონ. წლებია სახელმწიფოს არალიცენზირებული მძღოლების მიერ მგზავრთა საქალაქთაშორისო გადაყვანის აკრძალვას და საზედამხედველო ორგანოს შექმნას ვთხოვთ. ჩვენი შენიშვნებიც მივაწოდეთ, რომელიც ავტოსადგურის შესახებ კანონში ისეთი ცვლილების შეტანას ითვალისწინებს, რომელიც ე.წ. ხიშნიკებს მუშაობის უფლებას აუკრძალავდა.**

**თუ მთავრობა ამ სფეროში წესრიგს დაამყარებს და მგზავრების უსაფრთხოდ გადაყვანა განხორციელდება, ამით წახალისებული იქნება კანონიერი ბიზნესი და აღმოიფხვრება ის უკანონობა, რაც ავტოსადგურების მიმდებარე ტერიტორიაზე ხდება. გახსნილია უკანონო სადგურები და ამას არავინ აკონტროლებს, შესაბამისად, ისინი არც თვლიან თავს ვალდებულად ტექინსპექტირება გაიარონ ან მგზავრების უსაფრთხოებაზე იზრუნონ, სრული უკონტროლობაა სისტემაში.**

**„წლებია, ცვლილებებს ველოდებით და სახელმწიფოსგან ვითხოვთ, კანონპროექტი მიღებამდე გაგვაცნონ“!..**

**თუ ცვლილებები განხორციელდება, ჩვენნაირ ლიცენზირებულ ავტოსადგურებს მგზავრების რაოდენობა გაეზრდებათ, და ხელშეკრულებას დამატებით ახალ მძღოლებთან გავაფორმებთ. ამ ცვლილებების ეფექტურობისთვის ზედამხედველი ორგანოს შექმნაა საჭირო“,** – ამბობს ნესტორ მიქატაძე.

ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული კანონპროექტი ჯერ კიდევ 2015 წელს იყო მომზადებული და პარლამენტში მისი შეტანაც იმავე წელს იგეგმებოდა, თუმცა, განხილვები ამ დრომდე არ დაწყებულა. **სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს ინფორმაციით, თბილისში ჯამში 24 საქალაქთაშორისო ავტოსადგურია, აქედან პირველი კლასის ავტოსადგური მხოლოდ სამია – შპს „ოკრიბა“, სს „თბილისის ცენტრალური ავტოვაგზალი“ და შპს „ლილო ჩარტერი“. მეორე კლასისაა 6 ავტოსადგური, ხოლო მესამე კლასის – 15.**

# ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს განცხადება

## ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 10 თებერვლის №1-1/41 ბრძანების შესაბამისად

საქართველოს მთავრობის ენერგეტიკული პოლიტიკის ფარგლებში, ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (შემდგომში: „სსე“) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მხარდაჭერითა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (EBRD) დაფინანსებით, აჭარასა და სამცხე-ჯავახეთში ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2021 წლის 17 თებერვლის №1-1/42 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს გადამცემის ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმით“ გათვალსიწინებულ 220 კვ. “ახალციხე-ბათუმის” ორჯაჭვიანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობას (შემდეგში: „220 კვ ეგხ “ახალციხე-ბათუმის მშენებლობის პროექტი“) პროექტის დანიშნულებაა ახალი ჰესების („შუახევის’’ და ,,კორომხეთის’’ ჰესები) მშენებლობის შედეგად გამომუშავებული ელექტროენერგიის გადაცემა, განაწილება ან/და ექსპორტი. ახალი 220 კვ ეგხ “ახალციხე ბათუმი”-ის არსებობა მნიშვნელოვნად გაზრდის რეგიონის ენერგომომარაგების სტაბილურობას, ენერგეტიკულ უსაფრთხოებას და აამაღლებს რეგიონის ენერგეტიკული სისტემის მდგრადობას. ამდენად, პროექტს გააჩნია სახელმწიფოებრივი და სოციალური დატვირთვა და მის წარმატებით განხორციელებას მნიშვნელოვანი როლი აქვს საქართველოს ენერგოსისტემის პერსპექტიული განვითარებისა და გაძლიერებისათვის.

220 კვ. ეგხ „ახალციხე-ბათუმი“-ს მშენებლობის პროექტის ფარგლებში, ეგხ-ის ანძის პოლიგონის ტერიტორიაზე, პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას, წარმოიშვა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული, ქედის მუნიციპალიტეტ, სოფ. კვაშტაში მდებარე სერაპიონ გათენაძის (პ/ნ 65002012193) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ: 21.06.33.432) ნაწილის, კერძოდ 314 კვ.მ.-ის გამოსყიდვის აუცილებლობა.

აღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრეს წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა დასახელებული პროექტის განხორციელების ფარგლებში მოქცეული მიწის ნაკვეთის (314 კვ.მ-ის) ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების (საკომპენსაციო თანხის) ანაზღაურების პირობით. ამავე შეტყობინებით მესაკუთრეებს მიეწოდა ინფორმაცია, რომ მათი უარის შემთხვევაში, „სსე“ იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და 220 კვ. ეგხ „ახალციხე-ბათუმი“-ს მშენებლობის პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეულ მათი საკუთრების ნაწილზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით, მიმართავდა კანონმდებლობით დადგენილ ღონისძიებებს.

გამომდინარე იქიდან, რომ მოცემულ შემთხვევაში ვერ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა, ქონების აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმევის საკითხი განხილულ იქნა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების მიზნით საკითხის განმხილველი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 25 მარტის №1-1/159 ბრძანებით შექმნილი ექსპროპრიაციის საკითხების განმხილველი კომისიის მიერ.

2023 წლის 10 თებერვალს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის **1-1/41** ბრძანება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“-თვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“, რომლითაც **ექსპროპრიაციის უფლების მისანიჭებელ სუბიექტად დადგინდა „სსე“** და მას ექსპროპრიაციის უფლება მიენიჭა ქედის მუნიციპალიტეტ, სოფ. კვაშტაში მდებარე სერაპიონ გათენაძის (პ/ნ 65002012193) საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე:

**- უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 21.06.33.432; საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის 2000 კვ.მ.-ის ნაწილი - 314 კვ.მ.**

პროექტისთვის საჭირო მიწის ნაკვეთზე ექსპროპრიაციის უფლების მოსაპოვებლად კანონმდებლობით განსაზღვრული მეორე ეტაპის გავლის უზრუნველყოფის მიზნით, „სსე“ უახლოეს ხანებში დადგენილი წესის შესაბამისად მიმართავს სასამართლოს.

უძრავი ქონების მესაკუთრეებს დამატებით ეცნობება სასამართლოში განცხადების შეტანისა და სასამართლოში საქმის განხილვის თარიღი.

როცა სიცოცხლე ასე ნავარდობს...




# დიდოსტატი – ქართული სპორტის მემატიანე

**გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში გავიცანი, როცა გაზეთ „ლელოში“ დავიწყე თანამშრომლობა. მახსოვს, ერთხელ გაზეთის პასუხისმგებელი მდივანი ვანდი ხანდამიშვილი გაბრწყინებული თვალებით როგორ ათვალიერებდა მაგიდაზე დაყრილ ფოტოებს. ოთახში რომ შევედი, ჩემკენ შემობრუნდა – ნახე, რა სიცოცხლით სავსე სურათებია, თითოეული მათგანიდან მარადისობად ქცეული შეჩერებული წამი შემოგვცქერისო, მითხრა. ვისია-მეთქი, ვკითხე. „ჩვენი კოტორასი“.**

რედაქციაში გამორჩეულად უყვარდათ „კოტორა“ – ვერცხლისწყალივით მოძრავი ახალგაზრდა კაცი, რომელიც ფიგაროსავით ხან აქ იყო, ხან – იქ. კადრების დიდოსტატს რჩეული კადრები მოჰქონდა სასპორტო შეჯიბრებებიდან – მისი მახვილი თვალით დანახული შავ-თეთრი სამყარო ყველას ხიბლავდა და აღაფრთოვანებდა.

იღბლიანიაო, ამბობდნენ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 30-კაპიკიანი ლატარიის ბილეთით „მოსკვიჩი“ მოიგო და ერთი ტურნირიდან მეორეზე გადაადგილება, რედაქციაში ფოტოების დროული მოტანა გაუადვილდა.

– ფოტოაპარატი პირველად გასული საუკუნის 50-იან წლებში ვნახე – ჩემს მეზობელ ვოვა კუკულდავას ჰქონდა „სმენა“ და იმით ვიღებდით სურათებს, – მითხრა ერთხელ სანდრომ. – მამამ ჩემი დაინტერესება რომ შეამჩნია, 1957 წელს მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე უნივერმაღში განვადებით ფოტოაპარატი „ფედი“ შემიძინა. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

**– პრესაში პირველი ფოტო როდის დაბეჭდე?**

– საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მწვრთნელთა სკოლაში ვსწავლობდი. 1964 წელს სასწავლებლის სპარტაკიადა ჩატარდა. ჭიდაობაში ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტმა ტარიელ ალიბეგაშვილმა გაიმარჯვა. მისი ორთაბრძოლის ეფექტური კადრი გადავიღე, რომელიც იმავე წლის 31 დეკემბერს უშანგ ჭიჭინაძემ გაზეთ „ლელოში“ დამიბეჭდა. ამან გამათამამა და გაზეთებში დავიწყე ფოტოების გამოქვეყნება – ფოტორეპორტიორობა პროფესიად მექცა: ჯერ „ახალგაზრდა კომუნისტში“, მერე აჩიკო გოგელიას მიერ დაარსებულ სასპორტო ჟურნალ „მართვეში“, 1977-იდან 2012 წლამდე კი უმთავრესად „ლელოში“ ვთანამშრომლობდი, სხვა ჟურნალ-გაზეთებშიც ხშირად ვიბეჭდებოდი.

**– პოპულარობის მომტან ფოტოებზე რას იტყვი?**

– პირველი იყო „ჟოკეი“, რომელმაც 1972 წელს თბილისში გამართულ კონკურსზე მთავარი ჯილდო მოიპოვა. ხომ გსმენია, წარმატებამ გათამამება იცისო და მეც საკავშირო თუ საერთაშორისო კონკურსებზე ვაგზავნიდი ნამუშევრებს. 1981 წელს თბილისის „დინამოს“ და მოსკოვის არმიელთა საფეხბურთო მატჩის დროს რამაზ შენგელია ორ მეტოქესთან ბურთისთვის ბრძოლისას გადავიღე, ფოტოს „საფეხბურთო ბალეტი“ დავარქვი და მოსკოვში საერთაშორისო კონკურსზე გავგზავნე. მეორე პრიზი დაიმსახურა.

სანდრო კოტორაშვილის საუკეთესო ფოტოებს სხვადასხვა დროს არა მარტო პრიზები რგებია, არამედ მისი ნამუშევრების 14 გამოფენა მოეწყო, მათ შორის ოთხი უცხოეთში – გერმანიაში, იუგოსლავიაში, პოლონეთსა და ლენინგრადში. სანდროს შემოქმედების გმირები არიან მსოფლიოს რჩეული სპორტსმენები საქართველოს და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებზე, საერთაშორისო ტურნირებსა და ატლანტის (1996), ათენის (2004), პეკინისა (2008) და ლონდონის (2012) ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე ასპარეზობისას.

„კოტორას“ოთხმოცწლიან ბიოგრაფიას არაერთი საინტერესო ეპიზოდი ამშვენებს, მაგრამ ერთ-ერთი მაინც გამორჩეულია: გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების მიწურულს ძიუდოისტთა თბილისის საერთაშორისო ტურნირს იაპონელი თეთრკიმონოიანები, საკვირველია, მაგრამ ფაქტია, ფოტორეპორტიორის გარეშე ეწვივნენ. ქართველმა ფოტოჟურნალისტმა ამომავალი მზის ქვეყნის წარმომადგენლებს გული არ დასწყვიტა – შეჯიბრების ბოლოს სულ რჩეული ფოტოები უსახსოვრა. იაპონიის ძიუდოს ფედერაციის წარმომადგენელმა მასაცუგუ კოგამ, რომელიც იმ წლებში ხშირად სტუმრობდა თბილისს, 1979 წელს სიურპრიზი შესთავაზა კოტორაშვილს –„დინამოს“ სტადიონზე საკავშირო ჩემპიონატის ერთ-ერთი მატჩისას ათიათასობით გულშემატკივრის თვალწინ თავისი ქვეყნის ძიუდოისტებისგან გამოგზავნილი ახალთახალი ფოტოაპარატი აჩუქა.

– აბა, რას წარმოვიდგენდი, რომ ეს ძვირფასი ძღვენი ჩემთვის საბჭოეთიდან გაუსვლელობის მიზეზი გახდებოდა, – ნაღვლიანი ღიმილით მითხრა სანდრომ. – ეს გვიან შევიტყვე. არადა, მიკვირდა, 1981 წლის 13 მაისს დიუსელდორფში რატომ არ წამიყვანეს-მეთქი. იაპონელთა ნაჩუქარი ფოტოაპარატით მაშინ „დინამო“ – „კარლ ცაისის“ მატჩის ეპიზოდები ტელევიზორის ეკრანიდან გადავიღე, შემდეგ თბილისის ქუჩებსა და სტადიონზე აღფრთოვანებული ქომაგების ამაღელვებელი კადრები აღვბეჭდე ფირზე...

იცით, მერე რა ბედი ეწია თეთრკიმონოიანთა საჩუქარს?

2003 წელს შეჯიბრებიდან გვიან ღამით დაბრუნებულ „კოტორას“ სადარბაზოსთან მრუდე ხელის არაკაცები ჩაუსაფრდნენ, ლამის სასიკვდილოდ გამეტებული დააყაჩაღეს – სასპორტო ჩანთასთან ერთად ის ფოტოაპარატიც გააყოლეს ხელს.

უფლის ნებით, **სანდრო კოტორაშვილი** იმ შემთხვევის შემდეგ მალე გამომჯობინდა და დღემდე ჩვეული ენთუზიაზმით განაგრძობს პროფესიულ საქმიანობას. ღირსების ორდენის კავალერს, სპორტის დამსახურებულ მუშაკს, მიხეილ კაკაბაძის სახელობისა და საქართველოს დამოუკიდებელ ჟურნალისტთა კავშირის პრემიის ლაურეატს 18 თებერვალს 80 წელი შეუსრულდება. არადა, ნამდვილად ვერ იტყვით, რვა ათეული წლის სიმძიმე აწევსო მხრებზე – დღესაც „სპორტულად“ გამოიყურება და უწინდელივით ვერცხლისწყალივით მოძრავია, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მისი ფოტოებიდან ამჯერად ფერადი დღევანდელობა შემოგვცქერის.

**იუბილეს გილოცავთ, ჩვენო სანდრო, მეგობარო და კოლეგავ! მრავალჟამიერ!**

**ვაჟა დანელია**

# შეჩერებული წამის მესაიდუმლე



„საფეხბურთო ბალეტი“

**შარშან მორიგი გამოფენის გახსნაზე დამსწრე საზოგადოებას თხოვნით მივმართე – იქნებ დამდეგი იუბილეს აღსანიშნავად ალექსანდრე კოტორაშვილისთვის თუნდაც მოკრძალებული ფოტოლაბორატორიის მოსაწყობად სადმე სიმბოლური ფართის გამოძებნა მოხერხდეს-თქო.**

როგორც გვჩვევია, იდეა მოიწონეს, დაპირებებიც გაიცა, მაგრამ...

ვისაც ოდესმე ერთხელ მაინც შეუხედავს ყოფილი გამომცემლობა „სამშობლოს“ მეხუთე სართულზე დიდოსტატის მიერ რუდუნებით შექმნილ სახელოსნოში, კარგად ემახსოვრება, რაოდენ ფართო დიაპაზონის უნივერსალის შემოქმედებითი სამყაროთი ტკბობის პატივი ხვდა წილად. დიახ, კედლებს ამშვენებდა შეჩერებული წამის ლეგენდარულ პერსონაჟთა პორტრეტები თუ სპორტული და კულტურული მოვლენების ამსახველი უნიკალური კადრები.

სხვათა შორის, იქაურობა ტრადიციული ქართული სტუმარ-მასპინძლობის პოპულარული კერაც გახლდათ, სადაც თაობათა არაერთ კერპს აუწევია ჭიქა და პროფესიონალიზმთან ერთად მუდამ სიკეთის მსახური დამხვდურის მკლავ-მარჯვენა დაულოცავს.

არადა, ყველაფერი მაშინდელი ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებულის საფეხბურთო ეპიზოდით დაიწყო, როცა მშობლიური კახეთის ერთ-ერთ სტადიონზე გამართული მატჩის მსაჯობისას ტრიბუნიდან მოსმენილი ბილწსიტყვაობის შემდეგ სასტვენი მოისროლა და ბავშვობის გატაცებას ფოტოაპარატ „ზენიტით“ დაუბრუნდა. კიდევ კარგი, თორემ ვინ იცის, რამდენი სიამოვნება მოგვაკლდებოდა – მის მადლიან ობიექტივს ხომ სამშობლოში თუ მის ფარგლებსმიღმა დაახლოებით 60 წლის განმავლობაში განვითარებული ისტორიული მოვლენები აქვს ასახული.

ეს ახალგაზრდული ენერგიით დამუხტული ზნეკეთილი კაცი როგორც პირადად ჩემთვის, ისე ჩვენი რედაქციისა და მთლიანად ჟურნალისტთა საძმოსთვის გაჭირვების ჭეშმარიტი ტალკვესია, მაგრამ განსაკუთრებულ ეპითეტებს იმსახურებს აგრეთვე, როგორც სამაგალითო მეოჯახე, რომელიც ქალბატონ მარისთან ერთად ღირსეული მთამომავლობით ხარობს. პაპაი ოქროებიო – მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი გულის სითბოთი ჩაილაპარაკებს ხოლმე შვილიშვილებზე საუბრისას.

გული შემთხვევით არ გვიხსენებია – დღესაც გულით დაატარებს ძვირფასი მშობლებისა და ერთადერთი საფიცარი ძმის – ცნობილი ენათმეცნიერის დავით კოტორაშვილის დაკარგვით გამოწვეულ უდიდეს ტკივილს.

და მაინც – სიცოცხლე გრძელდება. იდღეგრძელე, 80 წლის ოსტატო!

**გია პლატონიშვილი**

## ორიოდე სიტყვით

### ფიგურული სრიალი

**ლიუბლიანა (სლოვენია).** საერთაშორისო ტურნირი დრაგონ ტროფი. 35 მონაწილე. **ოქრო** – 13 წლის ინგა გურგენიძე (ორი პროგრამის ჯამში 17,982 ქულა. იგი 27 თებერვლიდან 5 მარტის ჩათვლით) კანადის ქალაქ კალგარიში მსოფლიოს იუნიორთა ჩემპიონატზე ისრიალებს.

### ფეხბურთი

**ჩემპიონთა ლიგა.** მერვედფინალი. პირველი მატჩები: პსჟ – ბაიერნი 0:1, მილანი – ტოტენჰემი 1:0.

## 64

## 94 წლის ოთარ შონიას ნააზრევი




თრ. 1.მფ c6 2.ლ g4 3.ეე c1,g1 4.კკ e3,h5 5.მმ g3,h7 6.პპ a4, b3, c2, f2

შვ. 1.მფ e7 2.ლ h2 3.ეე c8,d8 4.კკ a6,c3 5.მმ b2,e8 6.პპ b5, c7,d6,e5,e6,f6,g5,h6

ამოხსნა

1.მ g3-f1 ლ h2-h4 2.ლ g4:h4 პ g5:h4
3.კ e3:h6/მუქარა 4.კ h6-f8×/ კ a6-b7+
4.მფ c6:b5/მცდარია მფ c6:b7?–
– თეთრები აგებენ/ მფ e7-d7
5.კ h5:e8+ მფ d7:e8 6.ე g1-g8+
მფ e8-f7 7.ე g8-g7+ მფ f7-e8
8.მ h7:f6+ მფ e8-f8 9.ე g7-h7×

## ◉ ბრძენთა თამაში

# ღირსეული სტარტი

**წარმატებით დაიწყო ახალი სეზონი ქართველმა დიდოსტატმა ნანა ძაგნიძემ, რომელმაც მიუნხენში გამართულ ფიდეს მოჭადრაკე ქალთა 2022-2023 წლების გრან პრის მეორე ეტაპზე 6,5 ქულით მესამე ადგილი დაიკავა და 110 სარეიტინგო ქულასთან ერთად 10 ათასი ევრო დაიმსახურა.**

სულ ტურნირს 17 მონაწილე ჰყავს და 4 რაუნდიდან აუცილებელია მინიმუმ სამში თამაში. ვინაიდან პირველ შარშანდელ ეტაპზე ჩვენი თანამემამულე ისვენებდა, ბავარიის დედაქალაქში ნაჩვენები შედეგით იგი საერთო ჩათვლაში ჯერჯერობით მე-8 პოზიციაზეა. იქ 12 მანდილოსანი შეიკრიბა.

3 მოგება, 7 ყაიმი და 1 წაგება – ასეთია ჯვაროსანთა ლიდერის მონაგარი, რომელიც გერმანიაში მხოლოდ ნეიტრალური დროშით მოასპარეზე რუს მსოფლიოსა და ევროპის ექს-ჩემპიონს ალექსანდრა კოსტენიუკსა (7,5 ქულა) და ინდოელ ჰამპი კონერუს (7 ქულა) ჩამორჩა.

## ◉ ლეგიონერი

# კვლავ ნბა-ში

**გაირკვა საქართველოს ეროვნული ნაკრების ცენტრის გოგა ბითაძის ახალი კლუბის ვინაობა, სადაც ნბა-ში კარიერას გააგრძელებს. ესაა ორლანდო მეჯიქი, რომელიც 23 მოგებითა და 25 წაგებით თავის კონფერენციაში მე-8 ადგილზეა და რეგულარული სეზონის დასრულების შემდეგ პლეი-ოფში გასასვლელად იბრძვის.**

მას შემდეგ, რაც გასულ კვირაში ინდიანამ ჩვენებურთან კონტრაქტი გაწყვიტა, გავრცელდა ინფორმაცია, რომ მისი შეძენით ბელგრადის ცრვენა ზვეზდა იყო დაინტერესებული, მაგრამ ეს ხმები ჭორები აღმოჩნდა.

რაც შეეხება პეისერსს, მისი საკალათბურთო ოპერაციების პრეზიდენტი **კევინ პრიტჩარდი** ჯვაროსანს ასე დაემშვიდობა: **„გარკვეული მიზეზების გამო გაცვლების შედეგად ბევრი ცენტრი დაგვიგროვდა. ვფიქრობ, გოგა ნბა-ის კარგი მოთამაშე გახდება. წლეულს ის ყველაზე მეტად შრომობდა. როცა დრაფტზე კალათბურთელი აგყავს, მას გარკვეულწილად უფრო მეტ ყურადღებას აქცევ, დღის ბოლოს კი გოგა საჭირო მომენტში ყველაფერს სწორად აკეთებდა.**

**მის შესახებ ბევრი სატელეფონო ზარი მივიღეთ და მჯერა, რომ 100 პროცენტით აიყვანენ. მიუხედავად იმისა, რომ ინდიანაში არ გაამართლა, მსურს, რომ ნბა-ში ითამაშოს. ჩვენთან მან ვერ მიიღო ის შესაძლებლობა, რომელიც უნდა ჰქონოდა“.**

## ◉ ტატამზე

# შესანიშნავი ექვსეული

**დღეს აღთქმულ მიწაზე იწყება თელ ავივის სამდღიანი გრანდ სლემი, სადაც საჭიდაოდ 55 ქვეყნის 400-მდე ძიუდოისტი დარეგისტრირდა.**

ებრაულ ტატამზე მედლების მოსაპოვებლად შემდეგი 6 ჯვაროსანი იბრძოლებს: ლუხუმ ჩხვიმიანი (60), ვაჟა მარგველაშვილი და ლაშა ნადირაძე (ორივე – 66), მიხეილ ბახბახაშვილი (73), ბექა ღვინიაშვილი (90) და ვარლამ ლიპარტელიანი (100).

შეგახსენებთ, რომ ჩამოთვლილთაგან ამასწინანდელ მსგავს ტურნირზე პარიზში მხოლოდ ეს უკანასკნელი ასპარეზობდა, მაგრამ სტარტზევე დამარცხდა ჯაფარ კოსტოევთან (საამიროები).

ვიმედოვნებთ, ლაშა გუჯეჯიანის შეგირდები ამჯერად გააუმჯობესებენ ისრაელში შარშან ნაჩვენებ შედეგს: **ოქრო** – ილია სულამანიძე (100), გურამ თუშიშვილი – (+100); **ვერცხლი** – ეთერ ლიპარტელიანი (57).

# დიდი მარხვის მოსამზადებელი პერიოდი

## ხორციელის შაბათი. მიცვალებულთა ხსენება, ხორციელის კვირა

**18 თებერვალს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს და ლოცვას აღავლენს ღვთის მიმართ მიცვალებულ მოყვასთა სულის საოხად.**

ქრისტიანული მრწამსით, სიკვდილის შემდეგ ადამიანის სული კი არ ისპობა, არამედ გარდაიცვლება – შეიცვლის მდგომარეობასა და ადგილსამყოფელს. ლოცვებითა და მოწყალების გაღებით მიცვალებულებს (მათ სულებს) უმსუბუქდებათ ის ცოდვები, რომლებიც ვერ მოინანიეს სიცოცხლის განმავლობაში. ხორციელის შაბათს ვევედრებით უფალს განუსვენოს – ავადმყოფობით, ბრძოლის ველზე დაღუპულთ, პადემიით, – მიცვალებულთა სულებს მართალთა თანა; ეს დღე მსოფლიო შაბათით არის ცნობილი.



* * *

**19 თებერვალს ხორციელის აღებაა. შემდეგი შვიდეული – ყველიერია, შემდეგი კი – დიდი მარხვის პირველი შვიდეული.**

**გიული ლიპარტია**

# წულაიამ დროშაც ვერ დაკიდა, სასჯელიც აიკიდა!

**თბილისის სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქართველოს პროკურატურის სააპელაციო საჩივარი, გააუქმა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების ჩადენის ფაქტზე, გოგი წულაია დამნაშავედ ცნო.**

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2021 წლის 16 მარტს, მსჯავრდებულმა მისი პოლიტიკური საქმიანობიდან გამომდინარე, დაზარალებულს თბილისში დაგეგმილ შეხვედრაზე,მოლაპარაკებაში დახმარების მიზნით გაყოლა სთხოვა. თბილისში ჩამოსვლის შემდგომ, მსჯავრდებულმა დაზარალებულს ნაქირავებ ბინაში ღამე დარჩენა შესთავაზა, სადაც ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მყოფმა, ამ უკანასკნელის მიმართ ძალადობით სექსუალური ხასიათის ქმედება განახორციელა. აღნიშნული ძალადობის შედეგად დაზარალებულმა სხეულის სხვადასხვა არეში დაზიანებები მიიღო.



გ.წ.-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლის პირველი ნაწილით (სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება, ჩადენილი ძალადობით) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 4-დან 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურის მიერ წარდგენილი უტყუარი მტკიცებულებების მიუხედავად, თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებული სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების ფაქტზე გაამართლა და დამნაშავედ ცნო სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით (ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი განიცადა), რისთვისაც 6 თვით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

პროკურატურა ამ გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა და სააპელაციო წესით გაასაჩივრა, რაც თბილისის სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა და მსჯავრდებულს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

# მიკრო ატომური ელექტროსადგურები ამერიკაში თანდათან იკიდებს ფეხს

**ატომური ელექტროსადგურის ხსენებისას, უმეტესობას წარმოუდგენია დიდ ტერიტორიაზე აგებული გიგანტური კომპლექსები, ბეტონის გრანდიოზული ცილინდრული გამაგრილებელი ნაგებობებით. თუმცა, მათი ალტერნატივაც არსებობს – მცირე ზომის ატომური ელექტროსადგურების სახით, რომლებიც მიკრო ბირთვული რეაქტორებითაა აღჭურვილი.**

ამ მიკრო ელექტროსადგურების სიმძლავრე გაცილებით მცირეა. ისინი რიგითი სადგურების დაახლოებით მეასედ ელექტროენერგიას გამოიმუშავებენ და ფიზიკურად იმდენად მცირე ზომის არიან, რომ მათი ადგილზე მიტანა ჩვეულებრივი სატვირთო მანქანითაც შეიძლება. ამავე დროს, მსგავს მოწინავე მიკრო ელექტროსადგურს შეუძლია ათეულობით შენობისგან შემდგარი, მთელი სამხედრო კომპლექსების, საავადმყოფოების, საუნივერსიტეტო კემპუსების განათებით და გათბობით უზრუნველყოფა.

> **მიკრო რეაქტორები ენერგოსექტორში „გარდატეხას შეიტანს“, ამბობს ჯაკოპო ბონჯორნო – ატომური ენერგიის და ინჟინერიის პროფესორი მასაჩუსეტსის ტექნოლოგიების უნივერსიტეტში. ის ე.წ. სუფთა ენერგიის წყაროებში ბირთვული ენერგიის როლს სწავლობს. „სწორედ ეს გვსურს, რომ ბირთვული ენერგია პროდუქტის სახით ვიხილოთ და არა როგორც მეგა პროექტის“** – აღნიშნავს ის.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ენერგიის მსგავსი წყაროებით დაინტერესება იზრდება, განსაკუთრებით – უნივერსიტეტების ტერიტორიებზე. **„აშკარაა, რომ რეაქტორების ამ მოწინავე ტექნოლოგიებს მომავალი ნამდვილად აქვს მსოფლიოში მიმდინარე დეკარბონიზაციის ფონზე“** – ამბობს კალებ ბრუქსი, ატომური ინჟინერიის პროფესორი ილინოისის უნივერსიტეტში.

ილინოისის უნივერსიტეტი მათ შორისაა, ვინც მსგავსი რეაქტორის შეძენაზე მოლაპარაკებებს აწარმოებს. პროფესორი ბრუქსი ხელმძღვანელობს პროექტს, რომელიც კომპანიასთან Ultra Safe Nuclear Corporation მსგავსი მოწინავე სადგურის აშენებას გეგმავს და იმედოვნებს, რომ მის ამოქმედებას 2028 წლისთვის შეძლებს. გასულ წელს, პენსილვანიის შტატის უნივერსიტეტმა მიკრო რეაქტორის ტექნოლოგიის საკითხებში თანამშრომლობასთან დაკავშირებით, ხელი მოაწერა მემორანდუმს კომპანიასთან Westinghouse. ინდიანის შტატში პერდიუს უნივერსიტეტი ანალოგიურ პროექტზე მუშაობს კომპანიასთან Duke Energy. ბირთვული რეაქტორები შეერთებული შტატების უნივერსიტეტებში სიახლეს არ წარმოადგენს, ისინი ამერიკაში 25-მდე უნივერსიტეტს უკვე აქვს. თუმცა, ენერგიის წყაროდ მათ გამოყენებაზე აქამდე საუბარი არ ყოფილა. მიკრო ატომური ელექტროსადგურები ასაშენებლად მიწის გაცილებით ნაკლებ მონაკვეთს მოითხოვს, ვიდრე სოლარული ფერმები, ან ქარის ტურბინები. ამას გარდა, ისინი გაცილებით იაფიც ჯდება. ტრადიციული ატომური ელექტროსადგურის აშენება ამერიკაში მილიარდობით დოლარი ღირს. მაგალითად, ჯორჯიის შტატში უკვე არსებულ სადგურზე რეაქტორების დამატება ელექტროსადგურს $30 მილიარდ დოლარზე მეტი უჯდება. მიკრო ელექტროსადგურის დამზადება, აწყობა და დამონტაჟება კი მაგალითად, კომპანიაში Last Energy $100 მილიონზე ნაკლები ღირს.

კომპანია Westinghouse, რომელიც ინდუსტრიაში 70 წელზე მეტია ლიდერობს, უახლეს მიკრო რეაქტორებზე მუშაობს, სახელწოდებით eVinci. მათი ლიცენზირება ამერიკის შეერთებულ შტატებში 2027 წლისთვის იგეგმება. ახალ მიკრო რეაქტორებზე ექსპერიმენტებს არამარტო კერძო კომპანიები, არამედ ამერიკის თავდაცვის დეპარტამენტიც ატარებს. „პროექტი პელე“ აიდაჰოს ეროვნულ ლაბორატორიაში მობილურ ატომურ მიკრო რეაქტორს ცდის. მიკრო ატომური ელექტროსადგურების პოპულარობის გზაზე მთავარ გამოწვევად მეცნიერები ნარჩენების მოვლის პრობლემას მიიჩნევენ. 2022 წელს გამოქვეყნებულმა სტენფორდის უნივერსიტეტის კვლევამ აჩვენა, რომ საშუალო ზომის რეაქტორები, რომლებიც დაახლოებით მიკრორეაქტორებს და ჩვეულებრივი მოცულობის ბირთვულ რეაქტორებს შორისაა, გაცილებით მეტ ნარჩენებს გამოყოფს, ვიდრე ტრადიციული ატომური ელექტროსადგურები. ამას გარდა, მიკრორეაქტორებს ჯერჯერობით მეტი ურანი ესაჭიროებათ გამომუშავებული ელექტროენერგიის ერთეულზე, ვიდრე ტრადიციულ ელექტროსადგურებს. ცალკე განხილვის საკითხია მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ტერორისტთა სამიზნეში მოხვედრის ალბათობა.



# „საქართველო XVI-XVIII საუკუნეების ნიდერლანდურ რუკებსა და გრავიურებზე“

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის საგამოფენო პავილიონში გამოფენა „საქართველო XVI-XVIII საუკუნეების ნიდერლანდურ რუკებსა და გრავიურებზე“ გაიხსნა.**

**გამოფენა საქართველოსა და ნიდერლანდების სამეფოს შორის ორმხრივი დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 30 წლის იუბილეს ეძღვნება.**

ექსპოზიციაზე წარმოდგენილია სულხან სალაძის კერძო კოლექციაში დაცული XVI-XVIII საუკუნეებში შექმნილი საქართველოსთან დაკავშირებული მასალა – 26 უნიკალური რუკა და გრავიურა ორიგინალი ბეჭდური სახით.



მათ შორისაა საქართველოს, კავკასიის, ევროპის, აზიის, შავი ზღვის, იმპერიების, ბიბლიური და ისტორიული თემატიკის რუკები; აგრეთვე ეროვნულ არქივში დაცული, საქართველოსა და ნიდერლანდების ურთიერთობების ამსახველი, საარქივო მასალის ორიგინალები.

გამოფენის პარალელურად, 17 თებერვალს, 19:00 საათზე, სულხან სალაძის საჯარო ლექცია გაიმართება. ღონისძიებებზე დასწრება თავისუფალია.

ექსპოზიცია „საქართველო XVI-XVIII საუკუნეების ნიდერლანდურ რუკებსა და გრავიურებზე“ ერთ თვეს გაგრძელდება.

## 9 დღე ნანგრევებში...

**დამანგრეველი მიწისძვრებიდან მე-9 დღეს, მაშველებმა კიდევ რამდენიმე ადამიანი გადაარჩინეს. ადიამანში 14 წლის ბავშვი ცოცხლად ამოიყვანეს, რომელმაც ნანგრევებში 207 საათი გაატარა.** ჰატაიში კი მაშველებმა ნანგრევებიდან სულ მცირე 5 ადამიანი ამოიყვანეს, მათ შორის იყო ქალი, რომელმაც ნანგრევებში 205 საათი გაატარა.



თურქეთსა და სირიაში მიწისძვრის შედეგად დაღუპულთა რაოდენობამ 41 000-ს გადააჭარბა. დამანგრეველი სტიქია 6 თებერვალს მოხდა.

## ჩამოგდებული მფრინავი ობიექტები – ჩინეთის სადაზვერვო პროგრამის ნაწილი?

**„მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ საბოლოოდ ვერ ვიტყვით, ნამსხვრევების ანალიზის გარეშე, რა იყო ეს ობიექტები, ამ ეტაპზე არ გვინახავს რაიმე მინიშნება, რაც კონკრეტულად მიუთითებს იმაზე, რომ ეს სამი ობიექტი ჩინეთის სადაზვერვო პროგრამის ნაწილი იყო, ან რომ ეს ობიექტები გამოიყენებოდა სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვების მიზნით“,** – აღნიშნა აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს სტრატეგიული კომუნიკაციების კოორდინატორმა ჯონ კირბიმ. 12 თებერვალს, კანადის პრემიერ-მინისტრმა ჯასტინ ტრუდომ განაცხადა, რომ ამერიკელმა სამხედროებმა კანადის თავზე კიდევ ერთი მფრინავი ობიექტი ჩამოაგდეს.



აღსანიშნავია, რომ ეს გასულ კვირაში ჩრდილოეთ ამერიკის თავზე ჩამოგდებული მესამე მფრინავი ობიექტი იყო. 5 თებერვალს, ამერიკელმა სამხედროებმა ატლანტის ოკეანის თავზე ჩინური სადაზვერვო საჰაერო ბუშტი ჩამოაგდეს, 11 თებერვალს კი ამერიკელმა სამხედროებმა ალასკას შტატის თავზე მფრინავი ობიექტი ჩამოაგდეს, რომელიც, აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს სტრატეგიული კომუნიკაციების კოორდინატორის, ჯონ კირბის თქმით, წარმოადგენდა გონივრულ საფრთხეს სამოქალაქო ფრენების უსაფრთხოებისათვის.

## ჩილელი პოეტი პაბლო ნერუდა თურმე მოწამლეს



**ამ სენსაციურ ცნობას ნობელიანტი პოეტის ძმისშვილი როდოლფო რეიესი აცხადებს. „ბაქტერია clostridium botulinum, რომელიც პოეტის სხეულში იპოვეს, ადასტურებს იმას, რომ ნერუდა მოკლულია, რომ ეს ხელისუფლების აგენტების ჩარევის შედეგად მოხდა“,** – აცხადებს რეიესი.

ეს ბაქტერია იწვევს ბოტულიზმს – მძიმე ინტოქსიკაციას, რომლის დროსაც ნერვული სისტემა ზიანდება. ნერუდას სხეულის ექსგუმაციის შემდეგ, 2017 წელს clostridium botulinum-ი აღმოაჩინეს მის ერთ-ერთ კბილზე. 2011 წელს კი ჩილეს კომუნისტურმა პარტიამ, რომლის წევრიც პოეტი იყო, მისი გარდაცვალების მიზეზის დადგენა მოითხოვა. წლების განმავლობაში სახელმწიფო ნერუდას გარდაცვალების ოფიციალურ მიზეზად ონკოლოგიურ დაავადებას ასახელებდნენ, მაგრამ ნერუდას მძღოლი ამტკიცებდა, რომ ის მოწამლეს. აღსანიშნავია, რომ კანადელი, დანიელი და ჩილელი სასამართლო ექსპერტების ოფიციალური დასკვნა გუშინ გასაჯაროვდა.

## შემწვარი ქათმის სიყვარულმა მილიონამდე დოლარი მოაგებინა

**მერილენდის შტატში მცხოვრებმა კაცმა პროდუქტების მაღაზიაში ლატარიის ბილეთი იყიდა და სოლიდური თანხა მოიგო.**




კაცის თქმით, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, 6 თებერვალს, შუაღამეს ის შიმშილმა გააღვიძა, რის გამოც სახლთან მდებარე მარკეტში წასვლა და შემწვარი ქათმის ყიდვა გადაწყვიტა. იქ მან დახლზე ლატარიის ბილეთები დაინახა და ჯიბეში ნაპოვნი ხურდებით რამდენიმე იყიდა. როგორც კაცი იხსენებს, მან დიდი ხანი ჩაძინება ვერ შეძლო და თავისი ბილეთების შემოწმება გადაწყვიტა. როგორც აღმოჩნდა, მან 750 000 დოლარი მოიგო. გამარჯვებულის თქმით, მოგებული თანხით ის თავისთვის და შვილისთვის ახალი სახლების ყიდვას გეგმავს.

## უხუცესი ძაღლი

**გინესის რეკორდების წიგნმა 30 წლის ბობი, რომელიც პორტუგალიაში ცხოვრობს, მსოფლიოში ყველაზე ასაკოვან ძაღლად აღიარა. ბობი სუფთა სისხლის პორტუგალიური მასტიფია. ამ ჯიშის ძაღლები საშუალოდ 12-14 წელს ცხოვრობენ, ბობის ასაკი კი 30 წელი და 270 დღეა. მანამდე მსოფლიოს ისტორიაში უხუცესი ძაღლი ავსტრალიელი ბლუი იყო, რომელმაც 29 წელი და 5 თვე იცოცხლა.**




ბობი 1992 წლის მაისში დაიბადა. მისი პატრონი ლეონელ კოსტა მაშინ 8 წლის იყო. ოჯახში უკვე ბევრი ძაღლი ჰყავდათ, ამიტომ ბიჭის მშობლებმა ლეკვები ორმოში დატოვეს. მაგრამ ლეონელმა და მისმა ძმებმა ბობის გადარჩენა მოახერხეს და უფროსები მის სახლში დატოვებაზე დაითანხმეს.

დღეს ბობის სიარული უჭირს და ცუდად ხედავს. დროის უდიდეს ნაწილს კი ეზოში, 4 კატასთან ერთად ატარებს, რომლებთანაც კარგი ურთიერთობა აქვს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ე

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ძორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 20 თებერვალს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6583; ევრო - 2.8585;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2410;
100 რუბლი - 3.6025; თურქული ლირა - 0.1410;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5637;
1000 სომხური დრამი - 6.7470

**ამინდი 16 თებერვლისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | -6, | დღე +4 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -12, | დღე 0 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | -4, | დღე +4 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -9, | დღე 0 |
| თბილისი: | ღამე | -3, | დღე +3 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge